საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფიცხეა, ტყვიებით და ჯოხებით ბუტის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 25 ივლისი, 2014 წელი.

№145 (7526)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

როგორ მზადდებოდა 2008 წლის აგვისტოს ომი



„თუ 5 იანვრის არჩევნები ნორმალურად ჩაივლის, შემდეგ ზამთარს უფრო თბილი კლიმატის პირობებში გავატარებთ: ჩვენ სახლებში დავბრუნდებით. მე ამას გპირდებით და ამის გარანტიას გპირდებით. არასოდეს აქამდე ასე კონკრეტული არაფერი მითქვამს. მინდა დაგპირდეთ, რომ უახლოეს მომავალში – მე ამის გაკეთებას ჩემი პრეზიდენტობის პირველ ვადაში ვაპირებდი, მაგრამ კარგად ცნობილი მიზეზების გამო, ჩემი ვადა შევამცირე – უახლოეს მომავალში ვგულისხმობ უახლოეს თვეებს, არ ვამბობ უახლოეს წლებს, ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად შევქმნით პირობებს თქვენი ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისთვის აფხაზეთში.“

მიხეილ სააკაშვილი

9

ჯოზეფ ქეი - სიცოცხლის საფრთხიდან გამოქდინარე, „იმედი“ დავთმე

5

რათა ქვეყნის ეკონომიკური მართვის სააკაშვილის დროინდელი მოდელი შეიცვალოს

3

ბესელია ჩიორას ფსიქიატრთან წასვლას ურჩევს

2

მოტყუებული მომხმარებელი საქმეს ვერ მოიგებს

5

ცვლილებები მთავრობაში

4

ვის აძლევს ეს ხელს?.. „შამილის გზა“ კიდევ ერთი საფრთხე, თუ...

7

შეიძლება თუ არა გენურ-მოდიფიცირებული კულტურების მოყვანით უზრუნველყოთ კვებითი უსაფრთხოება

6

ინვესტორებისთვის მეტი საკანონმდებლო გარანტიაა საჭირო

5

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ვინ როგორ ფიქრობს

პრეზიდენტს განსხვავებული აზრის ქონის უფლება აქვს

გიგი უგულავას დაკავების საკითხზე ხელისუფლებაში აზრი ორად იყოფა. პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და დეპუტატების ნაწილი თვლიან, რომ მორატორიუმის ფარგლებში, თბილისის ყოფილი მერის დაკავება არასასიამოვნო ფაქტი იყო, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პროკურატურის მიერ დაყენებული მოთხოვნა სამართლიანი იყო, რადგან უწყებამ რისკები თავიდან აიცილა.

პოლიტიკურ წრეებში გიგი უგულავას დაკავების ფაქტზე მსჯელობა მას შემდეგ დაიწყეს, რაც პრეზიდენტმა ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში განაცხადა, რომ „არ იყო სასიამოვნო, როცა უგულავას დაკავება მაინცდამაინც მორატორიუმის დროს მოხდა“.

მარგველაშვილის განცხადებით, მას არ აქვს განცდა, რომ სასამართლოს არ ენდოს.

„სასიამოვნო არ იყო, რომ მაინცდამაინც მორატორიუმის დროს მოხდა გიგი უგულავას დაკავება. პოლიტიკური თვალსაზრისით, არასწორია მორატორიუმი გამოაცხადო და კაცი შემდეგ დააპატიმრო. მორატორიუმი დამატებითი ქმედებაა, რომლითაც არჩევნების დროს, ხელისუფლებამ თავის თავზე ვალდებულებად აიღო, მაგრამ შეგრძნება არ მაქვს, რომ უგულავა პოლიტიკური პატიმარია“, — დასძინა პრეზიდენტმა, რომლის პოზიციას იზიარებს თამარ კორძაია.

კანონმდებელის თქმით, მორატორიუმის დროს, უგულავას დაკავება უსიამოვნო ფაქტი იყო.

„უგულავას დაკავება პოლიტიკური ნიშნით ნამდვილად არ მომხდარა, მაგრამ ნამდვილად უსიამოვნო ფაქტი იყო ის, რომ უგულავა პოლიტიკური მორატორიუმის ფარგლებში დააკავეს. ისიც არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ შეიძლებოდა უგულავას პოლიტიკური მორატორიუმით ბოროტად ესარგებლა“, — აღნიშნავს კორძაია, რომლის პათოსს არ იზიარებენ მისივე თანაგუნდელები.

ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე პრეზიდენტის აზრს პატივს სცემს, მაგრამ მიიჩნევს, რომ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობა იმუნიტეტი არ არის.

როგორც for.ge-სთან საუბარში კობახიძე აცხადებს, უფრო მეტი რისკი იყო, რომ უგულავა თანაგუნდელების მსგავსად, ქვეყნიდან გასულიყო.

„პრეზიდენტს უფლება აქვს განსხვავებული აზრი ჰქონდეს. მის აზრს პატივს ვცემ, მაგრამ, როცა საქმე ეხება ბიუჯეტიდან მილიონობით ლარის მითვისებას და საფრთხე არსებობს, რომ ადამიანი ქვეყნიდან გავიდეს, პროკურატურა როგორ უნდა მოიქცეს? როგორც ჩანს, პროკურატურამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე იხელმძღვანელა. შეიძლება, მორატორიუმის გამო ადამიანს პატიმრობა არ შეფარდებოდა და თანაგუნდელების მსგავსად, ის ქვეყნიდან გასულიყო. მისეულ სააკაშვილი დაკითხვაზე მოწმის სახითაც კი არ ცხადდება. უგულავას საქმეში რაიმე პოლიტიკური შეცდომა არ ყოფილა. პროკურატურის ქმედება იყო სწორი და რისკები თავიდან აცილებული“, — განუცხადა for.ge-ს კობახიძემ, რომელსაც კითხვით მივმართეთ — „ბოლო პერიოდში, ამა თუ იმ საკითხზე, პრეზიდენტი გუნდისგან განსხვავებულ პოზიციებს რატომ აფიქსირებს?“.

კანონმდებლის შეფასებით, უმრავლესობის პოზიციები შეიძლება პრეზიდენტის მოსაზრებებს არ ემთხვეოდეს.

„ის დრო დამთავრდა, როცა სააკაშვილის განცხადება სრულიად უმრავლესობის პოზიციებს ემთხვეოდა. შეიძლება ადამიანები ერთი გუნდის წევრები იყვნენ, მაგრამ მათ განსხვავებული პოზიციები ჰქონდეთ“, — ამბობს კობახიძე, რომლის მსგავსად, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ უგულავა პოლიტიკური პატიმარი არ არის.

for.ge-სთან საუბარში ეკა ბესელია აღნიშნავს, რომ სასამართლომ საკმარისად ჩათვალა პროკურატურის არგუმენტი, რომ უგულავას მიერ ქვეყნის დატოვების საშიშროება არსებობდა.

მისი განცხადებით, სასურველი და საოცნებო არ არის, როცა ადამიანს აკავებენ.

უმრავლესობის ლიდერებისგან განსხვავებით, უმცირესობაში თვლიან, რომ გიგი უგულავა ივანიშვილის პოლიტპატიმარია.

ჩვენთან საუბარში გიორგი კანდელაკი აცხადებს, რომ პრეზიდენტის განცხადება ფაქტობრივად იმის აღიარებაა, რომ უგულავა ივანიშვილის პოლიტპატიმარია.

„მარგველაშვილის მიმართ არანაირი სიმპათია არ მაქვს, მაგრამ არ მომწონს როგორ ხდება ამ ინსტიტუტის რღვევა, პრეზიდენტის დამცირება და ივანიშვილის ხაზის გაგრძელება. მართალი გითხრათ, მარგველაშილის მხრიდან ამ განცხადების გაკეთება იმის ფაქტობრივი აღიარებაა, რომ უგულავა ივანიშვილის პოლიტპატიმარია“, — დასძენს კანდელაკი, რომლის პოზიციაზეა გიგი წერეთელი.

კანონმდებელი მარგველაშვილისგან განსხვავებით მიიჩნევს, რომ უგულავა პოლიტპატიმარია, მაგრამ წერეთელი პრეზიდენტს იმაში ეთანხმება, რომ მორატორიუმის ფარგლებში უგულავას დაკავება არ უნდა მომხდარიყო.

„ვეთანხმები მოსაზრებას, რომ უგულავას დაკავება არ უნდა მომხდარიყო. ზოგადად, ეს პოლიტიკური დაკავებები ქვეყანას ცუდ იმიჯს უქმნის“, — განუცხადა for.ge-ს წერეთელმა.

შეგახსენებთ, რომ პატიმრობაში მყოფ გიგი უგულავას უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას ედავებიან და მას ასევე ბრალი წაუყენეს მარნეულის ეპიზოდთან დაკავშირებით — იძულების (სსკ 150) და ჯგუფური ძალადობის ორგანიზების (სსკ 225) მუხლებით.

თეონა მანაგაძე

◎ წარმოსახვა

სანამ მერის სავარძელში ჩამჯდარა...

ძალიან ბევრი დაუმსახურებელი გულისტკენა და შეურაცხყოფა ახსოვს წინამორბედისგან, საქმე იქამდე მივიდა, სხვადასხვა წონითი კატეგორიების მიუხედავად, ლამის ერთი-ერთზე ჩხუბში გამოიწვია. მაგრამ ახლა მასზე ძვირის თქმა უჭირს. კაცი კარიერული ოლიმპიდან ჩამოვარდნის შემდეგ ციხის საკანში აღმოჩნდა და საკითხავია, უარესი რაღა უნდა მოსვლოდა. უკვე წაქცეულისთვის წიხლის ჩაზელვაზე თუნდაც ფიქრი მკრეხელობად მიაჩნია.

მერიაში პირველად მისვლისას ყურადღება პირველ სართულზე განთავსებულ საზოგადოების მისაღებზე გაამახვილა. თუ თეატრი გარდირობიდან იწყება, რატომ არ შეიძლება იგივე ფუნქცია დაეკისროს ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულების მთავარ შესასვლელს. ზერელად თვალის შევლებითაც ნათელი იყო — ეს თანამედროვე ევროპული ქალაქის ხელმძღვანელი ორგანოს საწყისი წერტილი კი არა, რაღაც ბაბილონის გოდოლის მსგავსი ანაქრონიზმი გახლდათ. თანამშრომლების გარკვეული ნაწილი თითქოს ბევრს მოძრაობდა, მაგრამ რატომღაც ეს ყველაფერი არაფრისმომცემ, ფუჭ, ქაღალდმანიის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ალბათ, ბევრს ახსოვს მეტად პოპულარული საბჭოთა ფილმი „სამსახურებრივი რომანი“. ის კინოფილმი დღესაც, ჩვენ შემთხვევაში მეტად აქტუალურია, ბევრმა თანამშრომელმა სრულიად მიივიწყა თავისი ფუნქციები და, უბრალოდ, არ იცის რაში ან რატომ უხდიან ხელფასს. პირდაპირ საკვირველია, ნუთუ ზოგიერთი მათგანი მაინც არ განიცდის სინდისის ქენჯნას, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები ქვეყნის სათრევად რომ არიან გადაქცეულნი.

თვალშისაცემია ასევე დაცვის მუშაკთა მეტად დიდი რაოდენობა. რამდენი პრობლემა მოეხსნებოდა ჩვენ ქალაქს და მთლიანად რესპუბლიკას, ხალხის ასეთი სიმრავლე სოფლის ბაღ-ბოსტნებსა და ველ-მინდვრებშიც რომ იგრძნობოდეს.

ის ამ მდგომარეობას ნამდვილად არ შეურიგდება და ამას გააკეთებს არა სიძუნწის გამო, არამედ აუცილებელი მომჭირნეობისა და პრაქტიკულობიდან გამომდინარე. ყველას უნდა ახსოვდეს და მტკიცედ სჯეროდეს, რიგითი გადამხდელების თითოეული თეთრი დაიხარჯება კონკრეტული საქმეებისა და არა ვიწრო პარტიული მიზნებისთვის და მთლიანობაში უპერსპექტივო, ილუზიური იდეალებისათვის. სულ მალე ჩატარდება თანამშრომელთა ტესტირება და ვინც წარმატებით დაძლევს ამ ბარიერს, ღმერთმა ხელი მოუმართოს ნაყოფიერ, შემოქმედებით შრომაში. ვინც ვერ დაძლევს, არც ეს უნდა აღვიქვათ ტრაგედიად. ცხოვრება რთულია და გამორიცხული არ არის, ხვალ ნებისმიერი ჩვენგანი აღმოჩნდეს უმუშევარი, ამით ხომ ცხოვრება არ მთავრდება. საბაზრო ეკონომიკა იმიტომ არის ყველასთვის მისაღები და მოსახერხებელი, რომ მრავალ შესაძლებლობას ქმნის საქმიანობისათვის.

ახლავე ყველას გასაგონად აცხადებს, რომ ვერავითარ ნეპოტიზმსა და პროტექციონიზმს ვერ აიტანს და ტყუილად ნუ ეცდებიან აუტალახონ სახლის კარი, რადგან ვინც ოდნავ მაინც იცნობს დათო ნარმანიას, ყველამ იცის: ის საკუთარ პრინციპებს არასოდეს ღალატობს და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს საერთოდ არ ცვლის. რაც შეეხება ამ წერილის დასაწყისში მოხსენიებულ შენიშვნას მერიის საზოგადოებრივი მისაღების შესახებ, დათო კარგად გრძნობს, ეს არის დიდი პრობლემის მეტად მცირე ნაწილი, ანუ წყალში მოტივტივე აისბერგის ზურგი. იცის რა ავგიას თავლის გაწმენდა, დასუფთავება და წესრიგში მოყვანა დასჭირდება, მაგრამ მას სიძნელეების არასოდეს ეშინოდა და სჯერა, რომ მათ გადაწყვეტას ამჯერადაც აუცილებლად, სანიმუშოდ გაართმევს თავს.

არასოდეს სიამოვნებდა და ახლაც ცდილობს, თავი აარიდოს სხვისი გატკეპნილი გზებით სიარულს. არ უნდა ვინმემ თუნდაც რომელიმე ძალიან ცნობილი პიროვნების მკრთალ ეპიგონად მიიჩნიოს. ძალიან ესიამოვნება და გულს მოეფონება, თუ ხალხი ყველა დროის თბილისის აღიარებული მერების გალერეაში ერთ მოკრძალებულ ადგილს მასაც მიუჩენს და მომავალი თაობები თბილად მოიგონებენ.

ჯემალ ნოზაძე

◎ ალიანჩალიანი

ბესელია ჩიორას ფსიქიატრთან წასვლას ურჩევს

დეპუტატები, რომლებიც კომიტეტის სხდომებზე არასათანადოდ მოიქცევიან, მათ მიმართ ზომები გატარდება, — განაცხადა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ.

— წინა პარლამენტში არსებობდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამარცხვინო სტანდარტები, რომელსაც ამკვიდრებდნენ თაქთაქიშვილისნაირი ადამიანები, რომლისთვის მაგალითი იყო ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტი. არასოდეს არ იქნება ჩვენი პოზიციები თანხვედრილი. რაც შეეხება უზრდელ გამოსტომებს და თავხედობებს, ამაზე ცალკე რეაგირება ექნება კომიტეტს. მიმაჩნია, რომ შეუთავსებელია ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტისთვის და თავმჯდომარის მოადგილისთვის ამგვარი ქცევა. ჩვენ დავაყენებთ დისციპლინურ საკითხს ამ ქცევასთან დაკავშირებით, რომლითაც გამოირჩევა თაქთაქიშვილი, რომელიც ზოგჯერ უკონტროლოა და დღეს ვნახეთ ამის პიკიც. მგონია, რომ ის ცდება დეპუტატის ქცევის სტანდარტებს და ცოტა ფსიქიატრების დახმარება სჭირდება, — განაცხადა ეკა ბესელიამ ჟურნალისტებთან საუბარში.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტზე ეკა ბესელიასა და ჩიორა თაქთაქიშვილს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. ეკა ბესელიამ უმცირესობის წევრს ჩიორა თაქთაქიშვილს შენიშვნა მისცა. მან დეპუტატს მონოლოგის რეჟიმში საუბრის თავშეკავებისკენ მოუწოდა.

ბესელიამ დეპუტატს ის პერიოდი შეახსენა, როცა ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობ“ იყო. ბესელიას თქმით, სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“ მფარველობდა კრიმინალებს ქვეყანაში, რასაც ჩიორა თაქთაქიშვილის რეპლიკა მოჰყვა. — თქვენ ბრძანდებით ქურდების ადვოკატი, თქვენ ბრძანდებით პიროვნება, რომელიც კრიმინალურ სამყაროს წარმოადგენს და იცავს კრიმინალურ პროკურატურას,— მიმართა თაქთაქიშვილმა ბესელიას.

დავით ნარმანია საკუთარ მოადგილეებს 2 აგვისტოს დაასახელებს

ამის შესახებ დავით ნარმანიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. როგორც დავით ნარმანიამ განმარტა, მისი მოადგილეები იქნებიან კვალიფიციური ადამიანები, რომელთაც კარგად აქვთ გაცნობიერებული დედაქალაქში არსებული პრობლემები.

— მათ კარგად იციან როგორც უნდა მოაგვარონ პრობლემები და კარგად იციან ჩემი წინასაარჩევნო პროგრამა, მისი ცალკეული მიმართულებები და არიან ერთგული ადამიანები ქალაქის და ჩვენი ქვეყნის, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ინტერპრესი

რათა ქვეყნის ეკონომიკური მართვის სააკაშვილის დროინდელი მოდელი შეიცვალოს

საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრი, პოლიტოლოგი ვაჟა ბერიძე

— ბატონო ვაჟა, მთავრობაში სერიოზული საკადრო ცვლილებები განხორციელდა. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „პრემიერი ივანიშვილის კადრებისაგან გათავისუფლდა," ნაწილი ფიქრობს, რომ „ღარიბაშვილმა პოზიციები საკუთარი გუნდის წევრებით გაიმყარა". საკადრო ცვლილებებზე რა აღარ ითქვა, მათ შორის, „პოლიტიკური კრიზისიც" კი. თქვენ რას დაუკავშირებდით სამთავრობო გუნდის ახალ შევსებას და როგორ შეაფასებდით მას?

— უპირველესად, უნდა შევნიშნო, რომ „ქართული ოცნების" მთავრობის მინისტრების პრაქტიკულად პირველი კარუსელი პაპანაქება ზაფხულში მოხდა. ამის გამო ეს ცვლილებები საინფორმაციო სივრცისთვის შედარებით შეუმჩნევლად ჩაივლის.

მიმაჩნია, რომ ეს ცვლილებები მთავრობისთვის არსებითად არ მოასწავებს რამე ახალ მდგომარეობას. ჩემი აზრით, ძირითადად, მთავრობის კოსმეტიკური ცვლილებები, ხელისუფლების რიგითი ნაბიჯები ფორმატში განხორციელდა და არა მიზანმიმართულად. ვინაიდან ცვლილებები შეეხო 5 მინისტრს, ორი კი უბრალოდ სხვა სამინისტროებში გადაიყვანეს. ამასთან, ცვლილებები შეეხო მეორე რიგის სამინისტროებსა და მთავრობის წევრებს, იმ სამინისტროებსა და პირებს, რომლებიც არც მთავრობაში და არც ქვეყნის პოლიტიკაში ამინდს არ ქმნიდნენ.

ვფიქრობ, ამ საკადრო ცვლილებების მიზანი გახლდათ ექს-პრემიერ ივანიშვილის მთავრობის ღარიბაშვილის კაბინეტად გადაქცევა. მთავრობის ახალი წევრები ძირითადად „ღარიბაშვილის ხალხია" და მისი გუნდის წევრებად მოისაზრებიან.

სამთავრობო ცვლილებებში ის არ მომწონს, რომ მთავრობაში თანამდებობებს პოლიტიკოსები იკავებენ. საერთოდ, ის ნიჰილიზმი, რაც ქართულ სინამდვილეში პოლიტიკოსების მიმართ შეიმჩნევა, ვფიქრობ, საკმაოდ საშიშია და, შესაძლოა, დამღუპველიც კი იყოს. პოლიტიკოსებმა საქართველოს საკმაოდ ბევრი რამ დაუშავეს, ვინაიდან ისინი არასდროს არ შეურჩევიათ მათივე პროფესიული დონისა და პოზიტიური გამოცდილების გათვალისწინებით. ამის მიუხედავად, სამთავრობო ცვლილებები სულაც არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში რამე პოლიტიკური კრიზისია. ვიმეორებ, მთავრობაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს კოსმეტიკური ხასიათი ჰქონდა.

— პრემიერმა ბრძანა, რომ სურს, მთავრობა „კიდევ უფრო" ეფექტური იყოს, ანუ არა მარტო გათავისუფლებულ მინისტრებს ჰქონდათ მართვის პრობლემები, არამედ ზოგადად, მთავრობას. პრემიერმაც, მართვის კრიზისის დასაძლევად და მეტი ეფექტურობის მისაღწევად, ზომები მიიღო...

— შესაძლოა, ასეც შევხედოთ მთავრობის საკადრო ცვლილებებს. მას ეფექტურობის პრობლემა უდავოდ აქვს, მაგრამ მაშინ სხვა კითხვაც ჩნდება — რატომ გათავისუფლდნენ დასახელებული მინისტრები და არა სხვები? არ მგონია, განათლების მინისტრი უფრო ეფექტური იყო თავის სფეროში, ვიდრე აწ უკვე გათავისუფლებული მინისტრები.

— საკადრო ცვლილებების შეფასებისას ოპოზიციამ ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ ცვლილებები არ შეხებია ეკონომიკური ბლოკის მინისტრებს. არადა, ოპოზიციის მტკიცებით, ბოლო მონაცემებით, ბიუჯეტს კვლავ თითქმის 130 მილიონი ლარი დააკლდა. თქვენ როგორ შეაფასებდით ეკონომიკაში არსებულ ვითარებას და იმასაც, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ბიუჯეტს თანხები სულ აკლდება? თუ პირველ ეტაპზე არსებული ვითარების ახსნა მეტ-ნაკლებად ლოგიკურად ჟღერდა, იგივე არგუმენტები ახლა ნაკლებად დამაჯერებელია...

— მიმაჩნია, რომ ეკონომიკის სფეროში არაფერი საგანგაშო არ ხდება. მართალია, შარშანდელი ბიუჯეტი მხოლოდ 92%-ით შესრულდა და საუბარი იყო დაახლოებით 600 მილიონი ლარით გარღვევაზე. ეს მართლაც იყო სერიოზული ხარვეზი. თუმცა, საკაშვილის ეკონომიკიდან ახალ ეკონომიკაზე გადასვლისას, ასეთი გარღვევა სავსებით ლოგიკურად მიმაჩნია. წლევანდელ მაჩვენებელთან დაკავშირებით ვერ დაგეთანხმებით, იმდენად რამდენადაც საუბარია იანვარ-ივნისის საშემოსავლო მაჩვენებელზე. აქ კი 78 მილიონი ლარით მეტი იქნა მიღებული, ვიდრე ამას საპროგნოზო მაჩვენებელი ითვალისწინებდა. ჩვენ გვაქვს გარღვევა გრანტებში და ეს სხვა რიგის პრობლემაა.

ციფრები ქვეყნისთვის მაინცდამაინც საზიფათო არ არის, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ აღებული სოციალური ვალდებულებები სრულდება და უახლოეს მომავალშიც, ჩემი აზრით, მათ შესრულებას საფრთხე არ ემუქრება.

პირადად მე ვიზიარებ წლების მიხედვით ეკონომიკური გაუმჯობესების გრადაციაზე ივანიშვილის მოსაზრებას. მიმაჩნია, რომ ერთ-ორი წელი კიდევ არის საჭირო ქვეყნის ეკონომიკური მართვის სააკაშვილის დროინდელი მოდელის შესაცვლელად და ქვეყნის გასასვლელად სახარბიელო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. სხვათა შორის, ამ მოდელის ფორმირება ახლაც მიმდინარეობს. ჩამოყალიბდა ეკონომიკური საბჭო, რომელიც მხოლოდ ერთი შეხედვითაა ეკონომიკის სამინისტროს პარალელური სტრუქტურა, შეიქმნა ინოვაციების საბჭო, გაძლიერდა საინვესტიციო საბჭო, მიმდინარეობს ეკონომიკურ სფეროებში მთავრობის მართვის სტრუქტურების რეორგანიზაცია. ყველაფერი ეს იმისთვის კეთდება, რომ ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობა დაიწყოს.

— უკრაინაში განვითარებული პროცესების ფონზე, ევრაზიული კავშირის იდეა ამ ეტაპზე აქტუალური აშკარად არ არის, მაგრამ რუსეთ-ბელორუს-ყაზახური საბაჟო კავშირი კონკრეტულ კონტურებს იძენს და ამოქმედებასაც ცდილობს, რომელშიც სომხეთმაც, როგორც ევრაზიული კავშირის პოტენციურმა წევრმა ქვეყანამ, მონაწილეობა უნდა მიიღოს. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ საქართველოსა და სომხეთს შორის ვაჭრობაში წარმოქმნილი პრობლემების გამო თბილისს ამას წინათ ვიზიტად სომხეთის პრეზიდენტი სტუმრობდა. თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორი იქნებოდა ქართული სახელმწიფოს ოპტიმალური ნაბიჯები საიმისოდ, რომ ერთი მხრივ, არ დაზარალდეს ქართული სახელმწიფოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი, ხოლო მეორე მხრივ, გათვალისწინებულ იქნას მეზობელი სომხეთის სავაჭრო და ეკონომიკური ინტერესები?

— გარდა იმისა, რომ საქართველოსთვის ევრაზიული კავშირის იდეა აბსოლუტურად მიუღებელია, იგი აქტუალურიც არაა. ახლა ჩვენთვის უმთავრესია ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოციირების ხელშეკრულების იმპლემენტაცია, მის სიკეთეებზე ფიქრი და ზრუნვა.

საქართველოსა და სომხეთს შორის საავაჭრო ურთიერთობებში წარმოქმნილ პრობლემებს სახელმწიფოთაშორის დონეზე სჭირდება მოწესრიგება. ამ პრობლემების არსებობა ბუნებრივიც გახლავთ და კარგიც — იქიდან გამომდინარე, რომ ევრაზიულ კავშირსა და ევროკავშირში ვაჭრობის სფეროში სხვადასხვა წესები და რეგულაციებია. იმის გათვალისწინებით, რომ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობებისა და ვაჭრობის სურვილი არსებობს, ახალ ვითარებაში წარმოქმნილი პრობლემები დაძლევადია და მათი ორმხრივი მოლაპარაკების კონტექსტში გადაწყვეტა იოლი არ არის, მაგრამ სავსებით შესაძლებელია.

— ერგნეთის ბაზრობის აღდგენის თემა მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც კონფლიქტის ზონების მიმდებარედ ე.წ. თავისუფალი ზონების შექმნის იდეას ხელისუფლების არაერთმა წარმომადგენელმა მხარი პირდაპირ თუ ირიბად დაუჭირა. ეკონომიკის ექსპერტთა უმრავლესობა ერგნეთის ბაზრობის აღდგენაში ბევრ საფრთხესაც ხედავს. კერძოდ, იმას, რომ ქვეყნის ბიუჯეტი ვერ მიიღებს დაახლოებით 300-400 მილიონ ლარს. გარდა ამისა, გაიზრდება ნარკოტიკების ტრანზიტი და ამ ტიპის ბაზრობებზე საკმაოდ მაღალია კრიმინალების მონაწილეობისა თუ მასზე კონტროლის დაწესების მცდელობები. არავინ დაობს, რომ ერგნეთისა და მისი მსგავსი ბაზრობის ზუგდიდის რაიონში გახსნა მართლაც ხელს შეუწყობდა აფხაზებსა და ოსებთან ნდობის აღდგენის პროცესს, მაგრამ თქვენი აზრით, რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ ამგვარმა ბაზრობებმა ქართული ეკონომიკა და საქართველოს ეკონომიკური სივრცე სერიოზულად აზარალოს?

— თუ ერგნეთის ბაზრობის მსგავსი თავისუფალი ეკონომიკური ან სავაჭრო ზონა ჩამოყალიბდა, ის არ იქნება ერგნეთის ბაზრობის ანალოგია. ეს იქნება სულ სხვა სივრცე თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს აფხაზებთან და ოსებთან დაახლოებას.

ჩემი თვალთახედვით, აქ ერთადერთი სერიოზული პრობლემა შეიძლება იყოს ამგვარი ბაზრობის მუშაობის პრინციპები, საბაჟო-საგადასახადო საკითხების მოწესრიგება ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციებთან და რუსეთთან, როგორც ამ რეგიონების ფაქტობრივ ბატონ-პატრონთან. საქართველოს რუსეთთან არც დიპლომატიური ურთიერთობა აქვს და არც სახალხო დიპლომატიის დონეზე ურთიერთობა. ერთადერთი ფორმატი გახლავთ აბაშიძე-კარასინის ფორმატი, რომელიც ბაზრობების გახსნასთან დაკავშირებულ დეტალებს აშკარად ვერ მოიცავს.

— ექსპერტთა ნაწილი არც იმას გამორიცხავს, რომ კონფლიქტის ზონებთან ახლოს ამგვარი ბაზრობები რუსეთის მორიგი, ამჯერად ეკონომიკური პლაცდარმები აღმოჩნდება საქართველოში ეკონომიკური ექსპანსიის განსახორციელებლად. ამის ალბათობა რამდენად მაღალია?

— ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური აქტივობა რეგიონში და, მათ შორის, საქართველოში, გარკვეულწილად ეკონომიკური ექსპანსიის ფორმაა. დღეს საქართველო, ფაქტობრივად, თურქეთის ეკონომიკური სივრცის ნაწილს რომ წარმოადგენს, ეს არ არის ეკონომიკური ექსპანსიის ფორმა? მაგრამ ჩვენ, ქართველები და ჩვენი სახელმწიფო ცდილობს, ეს ურთიერთობები გამოიყენოს ქვეყნისა და მისი ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ და ხელსაყრელი გახადოს ჩვენივე განვითარებისა და ინტერესებისთვის. მით უმეტეს, რომ დღევანდელ საქართველოში ეკონომიკური აქტივობის უკან არ დგას თურქული სახელმწიფოს ქვენა ინსტინქტები და გრძნობები.

ბუნებრივია, რუსეთი ეცდება თავისი ინტერესის ჩადებას კონფლიქტის ზონის ახლოს ორგანიზებულ ბაზრობებში, რაც ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ მთავრობა იმისთვის გვყავს, რომ მათი მხრიდან ამგვარ მოძალებას შესაბამისი ზღუდეები დავახვედროთ.

— ანუ ფიქრობთ, რომ შესაძლებელია ამგვარი ბაზრობების მოქცევა ისეთ სამართლებრივ ჩარჩოებში, რომ საფრთხეები, რომლებზეც ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ, პრაქტიკულად თავიდანვე გამოირიცხოს?

— კი, ნამდვილად შესაძლებელია. მე არ მივეკუთნები იმ ადამიანების კატეგორიას, რომლებიც ამგვარი ექსპერიმენტის მოწყობის შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავენ.

— მაშინ, როცა უკრაინაში ქმედებების გამო რუსეთს ლამის მთელი მსოფლიო გმობს, საქართველოში მოქმედმა ორგანიზაციებმა - „ევრაზიულმა არჩევანმა" და „ემიგრანტებმა" 30 ათასი ხელმოწერა შეაგროვეს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის მოთხოვნით. საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი გრიგოლ ვაშაძე გაკვირვებას გამოთქვამს ქვეყანაში „იდიოტების" სწრაფად გამრავლების გამო. თქვენ როგორ შეაფასებდით „ევრაზიული არჩევანისა" და „ემიგრანტების" აქტიურობასა და მოთხოვნას?

— ისეთ სერიოზულ დიპლომატს, როგორც ვაშაძეა, ადამიანებისთვის იარლიყების მიყენება არ ეკადრება. შესაძლოა იმათ, ვისაც იგი იდიოტებს უწოდებს, თავად იგი შეამკონ ანალოგიური შეფასებით. რუსეთთან დაახლოების მომხრეთა ერთი ნაწილი რომ მცდარ და ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის საზიანო პოზიციებზე დგას, ეს არ გვაძლევს საფუძველს, ისინი ანათემას გადავცეთ და შევაჩვენოთ.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობებს. ნებისმიერი ჭკუათმყოფელი ადამიანისთვის ცხადია, რომ ეს ურთიერთობები უნდა მოწესრიგდეს. აქ არსებობს წითელი ხაზები, გადაულახავი პრობლემები და წინააღმდეგობები, რომელთაგან ყველაზე თვალნათელია ჩვენი ევროატლანტიკური ორიენტაცია და რუსეთის მიერ თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. ცხადია, ამ ეტაპზე რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის ნაბიჯების გადასადგმელად ეს ყველაზე მძიმე ბარიერებია, მაგრამ, ამის მიუხედავად, თბილისსა და მოსკოვს შორის დიალოგი კიდევ უფრო ინტენსიურად უნდა წარიმართოს, რათა როგორ მცდარ ნაბიჯებსაც უნდა დგამდეს რუსეთი საერთაშორისო არენაზე, მხედველობაში მაქვს უკრაინის აღმოსავლეთში სეპარატისტების მხარდაჭერა და ყირიმის ანექსია, ჩვენ იმის გამო, რომ რუსეთი ახლა და ხილულ ისტორიულ პერსპექტივაში ჩვენი დიდი მეზობელი იქნება, მასთან უნდა გვქონდეს სისტემატური მოლაპარაკებები. მხედველობაში მაქვს იმგვარი მოლაპარაკებები, რომელიც ორმხრივ კომპრომისებს გულისხმობს და არა უპრინციპო დათმობებს.

კობა გენდელიანი

◎ ალიანჩალიანი

მართლმადიდებელ ეკლესიას არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გადასცეს

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 5 037 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადაეცა.

შესაბამისი განკარგულება — სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გამოსცა.

საუბარია ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ ოჟიოში მდებარე 2 574 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ასევე ქუთაისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №13-ში მდებარე 600 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და თბილისში, თემქის XI მიკრორაიონში მდებარე 1863 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.

პრემიერის განკარგულების შესრულების უზრუნველყოფა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაევალა.

ინტერპრესი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის კანცელარიაში მორიგი გამოფენა გამართა და საზოგადოებას შვიდი „ახალი ნამუშევარი“ წარუდგინა. არა, ყველა ახალი არ არის. აქამდე ორი მათგანი ექსპონატებად სულ სხვა სახელწოდებით იყვნენ წარმოდგენილი. მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მოკლედ რომ ვთქვათ, ირაკლი ღარიბაშვილმა მინისტრთა კაბინეტის განახლებული ვარიანტი შემოგვთავაზა.

სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობაზე უწყების ხელმძღვანელის მოქმედი პირველი მოადგილე ოთარ დანელია, სასჯელაღსრულების მინისტრის პოსტზე ქვემო ქართლის გუბერნატორი გიორგი მღებრიშვილი, ინფრასტრუქტურის მინისტრად საგზაო დეპარტამენტის უფროსი დავით შავლიაშვილი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრად კი, მინისტრის მოადგილე გელა დუმბაძე, ხოლო კულტურის მინისტრად — მიხეილ გიორგაძე.

ამასთან, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სოზარ სუბარი უხელმძღვანელებს. მთავრობაში რჩება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებული ელგუჯა ხოკრიშვილი, რომელიც გარემოს დაცვის მინისტრის სავარძელს დაიკავებს.

ლიტერატურასა და ლოზუნგებს თავი დავანებოთ და მშრალად ვნახოთ თუ რა ხდება სინამდვილეში.

ძალინ ბევრი ერთმანეთის გამომრიცხავი მოსაზრება გავრცელდა იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ეს ცვლილებები. პრემიერის ამ გადაწყვეტილებას ზოგი საქართველოს აღმშენებლობის ახალ ეტაპზე გადასვლას უკავშირებს, ზოგი ღარიბაშვილის მხრიდან საკუთარი გუნდის გასაძლიერებლად გადადგმულ ნაბიჯს. ზოგი იცინის, ზოგი მინისტრის ასაღებ მსხვილ ხელფასს და პრემიას ითვლის.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მინისტრი გასათავისუფლებელი კი არა, პანღურით გასაგდები იყო, ეს ცვლილებები საკმაოდ უცნაურად განხორციელდა.

„ველით, რომ ახალ მინისტრებს შევხვდებით მას შემდეგ, რაც მათ დაასახელებენ და დაამტკიცებენ. საქართველოს მთავრობას, პოლიტიკური სეზონის დასრულების შემდეგ კარგი შესაძლებლობა აქვს, რომ უფრო ინტენსიურად წარმართოს ეკონომიკური დღის წესრიგი, მოახდინოს საინვესტიციო გარემოს სტაბილიზება და სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყოს ხელი“, — აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

მისივე თქმით, საელჩო მოხარულია იურთიერთობოს საქართველოს მთავრობასთან ამ მიმართულებით და მოელით, რომ ახალ მინისტრებთან მომავალში ნაყოფიერად ითანამშრომლებს.

კი ბატონო, გასაგებია, რომ მინისტრები და დიპლომატიური კორპუსების წარმომადგენლები აქტიურად უნდა თანამშრომლობდნენ და უნდა ითანამშრომლონ კიდეც, მაგრამ მე არ მესმის თუ რას ნიშნავდა ფრაზა „პოლიტიკური სეზონის დასრულება“.

დიახ, საქართველოში მართლაც აქტიური პოლიტიკური სეზონი იდგა, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იყო ჩართული. ავირჩიეთ პრეზიდენტი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მაგრამ არჩევნების გამო ყველაფერი გაგვეჩერებინა ე. ი. თუ რომელიმე სოფლის მცხოვრებლები თავიანთ გამგებელს ირჩევდნენ, სიმინდი და მწვანილი არ უნდა დაეთესათ? რას ნიშნავს „აქტიური პოლიტიკური სეზონი“? რა, ამ სეზონის გამო მინისტრებს მხოლოდ ხელფასები და დანამატები უნდა აეღოთ და შედეგებს დალოდებოდნენ? საქმე არ უნდა ეკეთებინათ?

საკმაოდ უცნაური კომენტარია, ბუნებრივია, ვინმე იტყვის, რომ ნორლანდი უცხო ქვეყნის ელჩია და დიპლომატიური განცხადებაც გააკეთაო. კი ბატონო, მას აბსოლუტურად ვეთანხმები, მაგრამ ეს ჩვენი ხელისუფლება ნებისმიერი ამერიკელის ნებისმიერ ფრაზას პირდაპირ დირექტივად რომ აღიქვამს, იმას ვდარდობ და დარწმუნებული ვარ, რომ გათავისუფლებული მინისტრების არაფრის კეთების გამო რბილ საყვედურსაც არავინ ეტყვის. სწორედ ამ „არაფრის კეთებამ“ („გაკეთებას ვინ ჩივის, ოღონდ არაფერი გააფუჭოს“) პოზიციამ ჩამოუყალიბა „ქართულ ოცნებას“ ე. წ. სისუსტის იმიჯი“ (რ. საყვარელიძე). ამას ყველაზე უკეთ ღარიბაშვილი გრძნობდა და მის მიერ გაკეთებული ზოგიერთი ხისტი განცხადებაც ამის მაჩვენებელი იყო.

განახლებულ მინისტრთა კაბინეტში შერჩეულ მთავრობის წევრებს ექსპერტი კახი კახიშვილიც სწორედ ასე აფასებს.

„ის ადამიანები, რომლებიც ჩვენ ვნახეთ და რომელთაც მინისტრის სავარძლები დაიკავეს, პოლიტიკაში არასდროს იყვნენ. არც „ქართულ ოცნებაში“ იყვნენ ჩართული, როცა „ქართული ოცნება“ ყალიბდებოდა. უბრალოდ, ისინი არიან ადამიანები, რომელიც ღარიბაშვილმა აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოღვაწეობის დროს გაიცნო. აქცენტი მინისტრის მოადგილეებსა და სისტემაში მომუშავე კადრებზე გაკეთდა, ანუ ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც იმავე სამინისტროში მუშაობდნენ, იყვნენ ღარიბაშვილის ნდობით აღჭურვილი პირები და სამინისტროებში ღარიბაშვილის პირადი რეკომენდაციის საფუძველზე მუშაობდნენ. პირველი პირების სავარძლები აი, ამ ადამიანებმა დაიკავეს. როგორც ჩანს, ირაკლი ღარიბაშვილმა საკუთარი გუნდის წევრებით პოზიციები გაიმაგრა. რეალურად, მიუხედავად იმისა, იტყვის კოალიცია, რომ ახალი მინისტრები ჩემთან შეთანხმებული იყოო, ისინი უშუალოდ ღარიბაშვილის კადრები არიან და კოალიციასთან არც პოლიტიკური და არც საქმიანი კავშირი არა აქვთ. ღარიბაშვილი მინისტრთა კაბინეტს ეტაპობრივად გადაახალისებს. პირველ ეტაპზე თანამდებობას ის მინისტრები დაემშვიდობნენ, რომლებიც პოლიტიკურად აქტიურები არ იყვნენ, რომელთა განთავისუფლებაც კოალიციაში პრობლემას არ შექმნის და შიდა პოლიტიკურ კლიმატს არ დაძაბავს, მაგრამ მოსალოდნელია, რომ 2016 წლამდე მინისტრთა კაბინეტის დანარჩენი ნაწილიც შეიცვლება და სავარაუდოდ, საკვანძო თანამდებობასაც ღარიბაშვილის გუნდის წევრები დაიკავებენ და არა კოალიციის სახეები“, — განაცხადა კახა კახიშვილმა.

დიახ, პრემიერ-მინისტრის მიერ დასახელებული მთავრობის ახალ შემადგენლობას დეპუტები არ იცნობენ. არ იცნობენ, მაგრამ უმრავლესობა უპრობლემოდ უჭერს მხარს, ხოლო უმცირესობა ასევე უპრობლემოდ ეწინააღმდეგება.

„ეს ადამიანები მოვლენ პარლამენტში და ჩვენ მათ მოვუსმენთ. ეს მნიშვნელოვანია, რადგან მათ ნაწილს მე საერთოდ არ ვიცნობ. ამიტომ მთავარია, რას მოვისმენთ მთავრობის ახალი შემადგენლობის განხილვის დროს. დასკვნებსაც ამის შესაბამისად ყველა გავაკეთებთ. ჩვენ მხარდაჭერას ვუცხადებთ მთავრობას და არა ერთ კონკრეტულ მინისტრს. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ მთავრობის ახალ შემადგენლობას პარლამენტი მხარს დაუჭერს, რადგან პარლამენტი ნდობას უცხადებს პრემიერს და ასევე მთავრობის შემადგენლობის იმ ნაწილს, რომელსაც ვიცნობთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ არც ახლებთან დაკავშირებით იქნება რამე პრობლემა“, — აღნიშნა თინა ხიდაშელმა.

ასეთი „საქმიანად ერთსულოვანი“ მხარდაჭერის ფონზე საპარლამენტო უმცირესობა ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ ფონსა და გარღვეულ ბიუჯეტზე აპელირებს და აცხადებს, რომ გათავისუფლებები ეკონომიკური ბლოკის მინისტრებს უფრო უნდა შეხებოდა.

„მოქალაქეები კარგად ხედავენ, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი მთავარი პრობლემები, უმუშევრობის, გაჭირვებისა და სიღარიბის ზრდაა. ასევე პრობლემაა ბიუჯეტის გარღვევა და კრიმინალის მატება საქართველოში. არც ერთი ის მინისტრი, რომელიც პასუხისმგებელია ამ უკუსვლაზე, არ არის გათავისუფლებული და ისინი ინარჩუნებენ თანამდებობებს. ასე რომ, მთავრობის ეს ცვლილება არის მხოლოდ კოსმეტიკური ხასიათის და არც ერთ შემთხვევაში არ იმსახურებს მხარდაჭერას“, — აღნიშნა გიორგი კანდელაკმა.

საკმაოდ საინტერესო და მრავლისმთქმელია სასჯელაღსრულების მინისტრის პოსტზე წარდგენილი გიორგი მღებრიშვილის მთავარი მოტივაცია, რომელიც, ფაქტობრივად, ყველაფერს ნათელს ჰფენს.

„მადლობა მინდა, გადავუხადო პრემიერს იმ ნდობისთვის, რომელიც გამომიცხადა. ურთულესი სამინისტროა, ვაცნობიერებ რა ამას, ჩემი მთავარი მოტივაცია პრემიერის ნდობის გამართლება იქნება“, — აღნიშნა მღებრიშვილმა.

ე. ი. ბატონი ახალი მინისტრებისთვის მთავარი მოტივაცია არა ხალხის, არამედ პრემიერ-მინისტრის ნდობის გამართლებაა (აქვე შეიძლება გავიხსენოთ თბილისის არჩეული მერის გამოსვლა 8 მაისს სპორტის სასახლეში გამართულ ყრილობაზე, სადაც მან მიმართა ბიძინა ივანიშვილს, პრემიერ-მინისტრს, დამსწრე საზოგადოებას, ხოლო ამომრჩეველი ერთხელაც არ უხსენებია).

„არაფერი შეიზღუდება ჩემი მინისტრობის პერიოდში. მე მომხრე ვარ სამინისტროში ყველა პროცესი გამჭვირვალე იყოს. ჩემი გამინისტრების შემთხვევაში, ის რეფორმები, რასაც სოზარ სუბარი ატარებდა, გაგრძელდება და მათ მივიყვანთ ლოგიკურ დასასრულამდე“, — განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

ახალი მინისტრების, თუ მერების ასეთი პოზიცია საკმაოდ დამაფიქრებელია და, პირველ რიგში, მათი „უფროსების“ მხოლოდ ყურადღება სწორ პიარზეა გასამახვილებელი.

დიახ, პიარზე, რადგანაც იგივე მღებრიშვილის (და მინისტრების სხვა კანდიდატების) განაცხადებიდან ჩანს, რომ ისინი, ფაქტობრივად, არაფერის შეცვლას არ აპირებენ.

დიახ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ასე ჩანს.

მოდით გულზე ხელი დავიდოთ და ყოველგვარი მორიდების გარეშე ვთქვათ: განა საგარეო საქმეთა მინისტრი შესაცვლელი არ არის? ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი საელჩოები ლობირების ძებნის, მათთან მუშაობის, ინვესტიციების მოზიდვის, ქვეყნის საწინააღმდეგო განცხადებებზე ღირსეული პასუხის გაცემის ნაცვლად შოპინგებით, კლუბებში სიარულით და ნაცმოძრაობისთვის ინფორმაციის მიწოდებით არიან დაკავებული.

700-მილიონიანი საბიუჯეტო გარღვევის ფონზე გაცემული 135-მილიონიანი პრემიების გამო ფინანსთა მინისტრი შესაცვლელი არ არის (ყველაზე ტოლერანტულ შემთხვევაში)?

ახალგახსნილ 700 საწარმოში დასაქმებული მხოლოდ 740 ადამიანის ფონზე ეკონომიკის მინისტრი შესაცვლელი არ არის?

და ა. შ.

დიახ, ძირეული ცვლილებებია ამ ქვეყანაში განსახორციელებელი. ძირეული, მაგრამ როგორც ფილმ „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ აგული ერისთავი ამბობს „ბატონი ბონა კისლოვოდსკშია დასასვენებლად წასული“.

ჩვენ კი მხოლოდ ლოდინიღა დაგვრჩენია.

გია გაბრიჭიძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● კულტურის მინისტრობის კანდიდატს მინდა, შევახსენო, რომ კულტურა ნონპროფიტული (არაკომერციული), საკმაოდ რთული და მრავალმხრივი მოვლენაა. მისი კომერციული სექტორი იმდენად მცირეა, რომ ვერ უზრუნველჰყოფს უზარმაზარი არაკომერციული სექტორის დაფინანსებას. აქედან გამომდინარეობს კულტურის მართვის (და არა მენეჯმენტის) თავისებურება. მართვა, ანუ ადმინისტრირება გულისხმობს კულტურის პოლიტიკის შემუშავებას, მისიის დადგენას, პრიორიტეტების გამოკვეთას, სტრატეგიული გეგმის შემუშავებას, სტრატეგიული მიზნის დასახვას და სხვა. მენეჯმენტი ეს არის დასახული მიზნების და ამოცანების განხორციელების პროცესი, რომელსაც ახორციელებენ მინისტრის მოადგილეები (დარგების მიხედვით) და დეპარტამენტების უფროსები. ამით დავასრულებ ჩემს სტატუსს. აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებობს შესაბამისი ლიტერატურა, მათ შორის, ქართულ ენაზეც..

● ჯერ იყო და, თინა ხიდაშელმა კინაღამ გალახა „სუბიექტური“ ქალბატონები (კიდევ კარგი, იყო ჩართვა ქუთაისიდან), ახლა, აგერ ნახევარი საათია, ირაკლი სესიაშვილი მოძღვრავს და ტუქსავს მაკა რაზმაძეს. ასეთი რა იშოვება ქუთაისის პარლამენტში?!

● საუბედუროდ ერთ ძალიან ცუდ ტენდენციას ვამჩნევ სოციალურ ქსელში და ზოგადად ყველგან... ყველა რატომღაც ერიდება ხელისუფლების კრიტიკას (დიდ ნაწილს ვგულისხმობ) და ნაციონალების გინებით არიან დაკავებულნი. ეს ყველაფერი სააკაშვილის პერიოდს მაგონებს, ყველა თავისი გამორჩენის გამო ხმას რომ არ იღებდა და სანამ ცოცხით არ ათრია ერი, ხმა არ ამოიღო არავინ.

● ფოლკნერს უთქვამს, წერისთვის მოსახერხებელი პროფესია ბორდელის დირექტორობაა, დღისით შენს სამყოფელში სრული სიწყნარეა და საღამოს კი მთელი ქალაქის კაი ხალხი იქ იკრიბებაო.

მწერლებო, დროზე იჩალიჩეთ პროსტიტუციის ლეგალიზებაზე, ვიდრე მთავრობა და თანამდებობები ჯერ ბოლომდე არ დაუმტკიცებიათ.

● Hugo Masakela კულტურის მინისტრის მოადგილედ!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ფულის გადახურდავება

მოტყუებული მომხმარებელი საქმეს ვერ მოიგებს

თუ მომხმარებელი მოითხოვს, ვალდებულია თუ არა სავალუტო ჯიხური, რომ გადასცვლილი თანხა უკან დააბრუნოს?

სავალუტო ჯიხურები, როგორც წესი, თანხის კონვერტირებას მომსახურების საკომისიოს გარეშე ახდენენ. თუმცა, არის შემთხვევები, როცა მომხმარებელს ამ მომსახურებაში საკომისიოს გადახდას სთხოვენ. ამ ცოტა ხნის წინათ, რედაქციაში მკითხველის წერილი შემოვიდა, რომელიც გვატყობინებდა, რომ პეკინის №6-ში მდებარე სავალუტო ჯიხურში, 250 დოლარის გადასახურდავებლად მივიდა და თანხის მიღებისას აღმოაჩინა, რომ ჯიხურში ვალუტის გადახურდავებისთვის საკომისიო 9.5% იყო დაწესებული, რაც 250 დოლარზე 42 ლარს შეადგენდა. როგორც კი მომხმარებელმა საკომისიოს შესახებ გაიგო, თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა, დახმარებისთვის საპატრულო პოლიციაც კი გამოიძახა, მაგრამ უშედეგოდ.

დაირღვა თუ არა მომხმარებლის უფლება ამ კონკრეტულ შემთხვევაში და რა უნდა იცოდეს მომხმარებელმა, რომ მსგავს სიტუაციაში არ აღმოჩნდეს? — ამის გარკვევას BPN-ი შეეცადა.

როგორც ფინანსური სექტორის ზედამხედველ ორგანოში, ეროვნულ ბანკში აცხადებენ, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების შესაბამისი მუხლები, ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს ავალდებულებს, მომსახურებისას მომხმარებელს სრული ინფორმაცია მიაწოდონ ვალუტის გაცვლის კურსისა და მომსახურების საკომისიოს ოდენობის შესახებ.

„ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების საკომისიოს შესახებ კლიენტისთვის თვალსაჩინო ადგილას, სალაროსთან და ყიდვა-გაყიდვის კურსის თითოეულ მაჩვენებელთან, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსის ამსახველი შრიფტის ზომის ინფორმაციის განთავსება. აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, პუნქტის მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, კერძოდ, წერილობითი მითითების გაგზავნა, ფულადი ჯარიმის დაკისრება, რეგისტრაციის გაუქმება,“ — ამბობენ ეროვნულ ბანკში.ეროვნულ ბანკში გვითხრეს, რომ გასულ წელს იყო შემთხვევა, როდესაც აღმოჩენილი დარღვევების გამო ეროვნულმა ბანკმა შპს „პ ენდ ლ გრუპ“-ის ვალუტის გადამცვლელ ორ პუნქტს რეგისტრაცია გაუუქმა.

„რეგისტრაციის გაუქმების მიზეზი აღნიშნული პუნქტების მხრიდან იმ ვალდებულებების შეუსრულებლობა გახდა, რომელიც ეროვნულმა ბანკმა სავალუტო პუნქტების ფულის გათეთრების მონიტორინგის პროცესის ადეკვატური წარმართვისა და მომხმარებელთა უფლებების სათანადოდ დაცვის მიზნით დაუწესა. შპს „პ ენდ ლ გრუპ“-ის ჯიხურები, რომლებიც დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა, არაერთხელ იყო მომხმარებელთა უკმაყოფილების მიზეზი ვალუტის გადაცვლის ოპერაციაზე წინასწარი გაფრთხილების გარეშე საკომისიო გადასახადის დაკისრების გამო. მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, შპს „პ ენდ ლ დრუპ“-ის მფლობელთა მხრიდან მუდმივად ჰქონდა ადგილი მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას და წესების დარღვევას,“ — ამბობენ ეროვნულ ბანკში.

საინტერესოა, მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, აქვს თუ არა ვალდებულება სავალუტო ჯიხურს, გადაცვლილი თანხა უკან დააბრუნოს. როგორც ეროვნულ ბანკში განგვიმარტეს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 72-ე (საცალო გარიგების ცნება) და 73-ე (არსებითი შეცდომის სახეები) მუხლები აძლევენ მომხმარებელს უფლებას, მოითხოვოს გარიგების გაუქმება.

პეკინის ქუჩაზე 36-ში მდებარე სავალუტო ჯიხურში მივედით, რათა გვენახა, თუ რამდენად ასრულებს აღნიშნული ჯიხური საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს. აღმოჩნდა, რომ საკომისიოს შესახებ ინფორმაცია თვალსაჩინო ადგილზე იყო განთავსებული და ეროვნული ბანკის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებდა. რაც შეეხება მომხმარებლის მიერ თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნას, როგორც სავალუტო ჯიხურში გვითხრეს, თანხის უკან დაბრუნება ხდება მაშინ, თუ მომხმარებელი ჯიხურს არ დატოვებს და შესაბამის ჩეკზე ხელი არ ექნება მოწერილი.

საფინანსო და საბანკო საკითხებში ექსპერტ ლია ელიავას განცხადებით, საჭიროა, ქვეყანაში არსებობდეს ფინანსურ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობა, რათა მომხმარებელი მეტად იყოს დაცული.

„საქართველოში არ არსებობს სპეციალური კანონმდებლობა ფინანსურ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. ამიტომაც დაჩაგრული მომხმარებელი სამართალს ვერ პოულობს. მოტყუებული მომხმარებელი რომ წავიდეს და იჩივლოს ეროვნულ ბანკში ან სასამართლოში, ის ვერ მოიგებს საქმეს, რადგან სავალუტო ჯიხურს გასამართლებელი საბუთი ექნება. ეს საკითხები უნდა დაარეგულიროს ეროვნულმა ბანკმა, რომელიც ამ მიმართულებით პრაქტიკულად არაფერს არ აკეთებს, ეს, უწინარესად, სწორედ მისი პრეროგატივაა,“ — აცხადებს ლია ელიავა.

გიორგი მუშკუდიანი

◎ ბიზნესომბუდსმენი

ინვესტორებისთვის მეტი საკანონმდებლო გარანტიაა საჭირო

საქართველოში ბიზნესომბუდსმენის ოფისი უკვე რამდენიმე წელია, არსებობს. მისთვის მიმართვა ნებისმიერ ბიზნესმენს შეუძლია, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი უფლებები დაირღვა. ბიზნესომბუდსმენის მთავარი ფუნქცია სწორედ ბიზნესის დარღვეული უფლებების გამოვლენა და აღდგენაა. რა ძირითადი პრობლემები გამოიკვეთა ბიზნესომბუდსმენის საქმიანობისას, რა საჩივრები შედის მის ოფისში და რა ეტაპზეა მათი განხილვა? — ამ და სხვა საკითხებზე „მედიანიუსი“ ბიზნესომბუდსმენს გიორგი გახარიას ესაუბრა.

— ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებთ საქართველოში დღეს არსებულ ბიზნესგარემოს, რამდენად თავისუფალი და კონკურენტულია იგი და განსხვავდება თუ არა იმ ვითარებისგან, რაც წინა ხელისუფლების მმართველობის პირობებში არსებობდა?

— ბიზნესზე ზეგავლენა არ არსებობს. გვაქვს თავისუფალი სასამართლო. ხელისუფლება ყველანაირად მხარს უჭერს ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას, ახალი ინვესტორების დაინტერესებას, თუმცა, ცხადია, რჩება გარკვეული პრობლემები, განსაკუთრებით — ადმინისტრირების კუთხით. ასევე საჭიროა მეტი საკანონმდებლო გარანტია ინვესტორებისათვის. ამისათვის შესაბამის უწყებებთან აქტიურად ვთანამშრომლობთ, რათა სტაბილური და კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემო გვქონდეს. ეს მნიშვნელოვანად შეუწყობს ხელს ბიზნესში სტაბილურობისა და დაცულობის განცდას.

— დღეს ძირითადად რა ტიპის საჩივრებს იღებს ბიზნესომბუდსმენი და ითვალისწინებს თუ არა მთავრობა თქვენს რეკომენდაციებს?

— შემოსული განცხადებები შესაძლებელია, თემატურად დავყოთ: საგადასახადო და საბაჟო საკითხები; ქონებაზე საკუთრების უფლების საკითხები; ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პირობები და პროცედურები; ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირებისთვის რეგულირების საფასურისა და მოსაკრებლის ადმინისტრირება; სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების პრივატიზება/სარგებლობაში გადაცემა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ მომზადებული რეკომენდაციების 80-90 პროცენტი შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა გაითვალისწინეს.

— ყველაზე პრობლემურად რომელ საქმეს (საქმეებს) დაასახელებდით და რა ეტაპზეა ამჟამად მათი განხილვა?

— კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით ინფორმაციას მათი კონფიდენციალობის გამო ვერ მოგაწვდით, მაგრამ შემიძლია, გითხრათ, რომ საგადასახადო საკითხების უმრავლესობა საგადასახადო შემოწმებისას არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებასა და ოპერაციისათვის კვალიფიკაციის შეცვლას ეხება, საბაჟო საკითხების უმრავლესობა კი — საიმპორტო საქონლისათვის სასაქონლო კოდების ცვლილებას ამ საქონლის გაფორმებისას.

— რა მდგომარეობაა წინა ხელისუფლების მმართველობისას წართმეული ქონების დაბრუნების თვალსაზრისით?

— 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე „გადაფორმებული“ ქონების პირვანდელი მესაკუთრისთვის დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ ყოფილი მესაკუთრეების უფლებების დაცვა მხოლოდ პრობლემის ინდივიდუალური შესწავლითა და სამართლებრივი პროცედურების სრული დაცვით (სასამართლოსთვის მიმართვის გზით) უნდა განხორციელდეს, რათა დღეს მიღებული გადაწყვეტილებები მომავალში გაუქმების/გადახედვის რისკის ქვეშ არ დადგეს.

ეკატერინე ტუკვაძე

◎ ალიანჩალიანი

პრეზიდენტმა პარლამენტს მთავრობის ახალი შემადგენლობა წარუდგინა

საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობის შესახებ პრემიერ-მინისტრის მიმართვას ხელი მოაწერა. პრეზიდენტის პრესსამსახურის განმარტებით, ქვეყნის პირველი პირის მიერ ხელმოწერილი წარდგინება ნდობის გამოცხადების მიზნით პარლამენტს უკვე გადაეგზავნა.

კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტი ვალდებულია აღნიშნული საკითხი, 7 დღის ვადაში განიხილოს, თუმცა, უკვე ცნობილია, რომ პროცედურა დაჩქარდება და საკანონმდებლო ორგანო მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს კენჭს 26 ივლისს უყრის.

ჯოზეფ ქეი - სიცოცხლის საფრთხიდან გამომდინარე, „იმედი“ დავთმე

ამის შესახებ საქალაქო სასამართლოში „ტელეიმედისა“ და რიყის ტერიტორიის გასხვისების საქმეზე სკაიპით დაკითხვისას ჯოზეფ ქეიმ გუშინ განაცხადა.

ჯოზეფ ქეიმ დაკითხვისას განაცხადა, რომ 2007 წელს, როდესაც ქვეყანაში სიტუაცია აირია და ბადრი პატარკაციშვილი კენჭს იყრიდა პრეზიდენტობაზე, მას ხელისუფლებამ წაუყენა ულტიმატუმი, რის საფუძველზეც იძულებული შეიქნა „ტელეიმედი“ გაესხვისებინა.

როგორც ჯოზეფ ქეი აცხადებს, ბადრი პატარკაციშვილმა მას შესთავაზა ხუთი წლით ტელევიზია და დაპირდა, რომ ხუთი წლის შემდეგ დახარჯულ თანხას უკან დაუბრუნებდა. ჯოზეფ ქეის განცხადებით, იგი ამაზე დათანხმდა. ჯოზეფ ქეიმ აღნიშნა, რომ საქართველოში ინვესტიციები განხორციელებული ჰქონდა 2004-დან 2007 წლამდე, რაც დაახლოებით 200 მილიონ დოლარს შეადგენდა. ამ პერიოდში, როგორც ქეი ამბობს, მას ურთიერთობები ჰქონდა ხელისუფლებასთან, მათ შორის სტუმრად მიდიოდნენ მასთან საქართველოშიც და საზღვარგარეთაც სააკაშვილი, უგულავა და სხვა მაღალჩინოსნები.

რაც შეეხება „ტელეიმედის“ საქმეს, როგორც ქეი ამბობს, ბადრი პატარკაციშვილთან ერთად „ტელეიმედის“ მის მმართველობაში გადაცემის შესახებ საუბარი შედგა კანცელარიაში, რომელსაც ესწრებოდა მიხეილ სააკაშვილი. „მერე ბადრი პატარკაციშვილი გარდაიცვალა, ხელისუფლებიდან მომივიდა მესიჯები, რომ ის მოლაპარაკებები, რომელიც დაწყებული იყო „ტელეიმედის“ თემაზე, უნდა დამესრულებინა და ბოლომდე მიმეყვანა. ასე აღმოვჩნდი „ტელეიმედის“ მფლობელი“, — განაცხადა ჯოზეფ ქეიმ. სასამართლოში ჯოზეფ ქეი სკაიპით ნიუ-იორკიდან ერთვებოდა.

ინტერპრესი

სასიამოვნო გემოს მქონე გამანადგურებელი იარაღი

შეიძლება თუ არა გენურ-მოდიფიცირებული კულტურების მოყვანით უზრუნველვყოთ კვებითი უსაფრთხოება

როგორი ურთიერთობა უნდა გვქონდეს ტრანსგენურ და გენურ-მოდიფიცირებულ ორგანიზმებთან? აზრები ამასთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარია ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებშიც კი. სახელმწიფო დუმაში ამუშავებენ კანონს მოთხოვნების გამკაცრების შესახებ გენურ-მოდიფიცირებული ორგანიზმების ბრუნვასთან, ამ დროს კი მთავრობა ღებულობს გადაწყვეტილებას, რომ მთლიანად გახსნას ჩვენი ბაზარი მათი ექსპანსიისათვის. გენურ-მოდიფიცირებული კულტურების პლუსებსა და მინუსებზე გამძვინვარებულები დავობენ მეცნიერებიც. დღეს ჯანმრთელობასა და ეკოლოგიაზე გენურ-მოდიფიცირებული ორგანიზმების გავლენასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კ.ა. ტიმირიაზევის სახელობის მცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს მეცნიერების დარგში ვლადიმერ ციდენდამბაევს.

— ვლადიმერ, მოდით დავიწყოთ იმით, თურა არის გენურ-მოდიფიცირებული ორგანიზმი, საიდან გაჩნდა იგი და რითია განპირობებული მისი გამოვლენა?

— თავად იდეა, როგორც ჩანს, ამერიკულ კომპანია „მონსანტოს“ ეკუთვნის, გენურ-მოდიფიცირებული ორგანიზმები (გმო) კი გაჩნდნენ ერთადერთი მიზნით, თუმცა, მიზნები, შეიძლება, მეტიც იყო. კერძოდ კი, თითქოს რათა გაუმჯობესოს დღეს არსებული სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ხარისხები. რა უნდა ყოფილიყო ეს გაუმჯობესება? უწინარეს ყოვლისა, რათა რამდენადმე შეემცირებინათ იმ ფერმერის ხარჯები, რომელიც მათ მოიყვანს. გენურ-მოდიფიცირებული ორგანიზმების დიდი ნაწილი — ესაა ორგანიზმები, რომლებიც მყარია გარკვეული ჰერბიციდის მიმართ. ამ ჰერბიციდს, სხვათა შორის, აკეთებს იგივე ფირმა, რომელსაც ეკუთვნის გენურ-მოდიფიცირებული მცენარეები. რისთვისაა ეს საჭირო? იმისთვის, რომ იმან, ვინც ამ კულტურებს მოიწევს, მიიღოს რაღაც მოგება იმისგან, რომ გამარგვლა აღარ დასჭირდება.მოასხურე ჰერბიციდი, ყველა დანარჩენი მცენარე დაიღუპა, მყარი კი, ესე იგი გენურ-მოდიფიცირებული დარჩა. ამას გარდა, არსებობს გენურ-მოდიფიცირებული მცენარეები, რომლებიც ახდენენ შხამის პროდუცირებას ფოთლისმჭამელი მწერებისათვის. შედეგად ვღებულობთ კარტოფილს, რომელიც თითქოსდა მყარია კოლორადოს ხოჭოს მიმართ, სიმინდს, რომელიც თითქოს მყარია ფარვანასათვის, და ა. შ.

— თქვენ ამბობთ, „თითქოსდა“, „თითქოს“. რაღაც ისე არ წავიდა, როგორც იყო ჩაფიქრებული?

— დროის განმავლობაში გაჩნდა სარეველა, რომელიც მდგრადია ამ ჰერბიციდისადმი, და მათი დამუშავება გახდა არაეფექტიანი. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ამერიკაში აღმოაჩინეს სუპერსარეველას 15-16 სახეობა, რომლებიც მდგრადია ამ ჰერბიციდისადმი. თანაც პარალელურად ისინი იძენენ რაღაც სხვა თვისებებს. კერძოდ, ერთ-ერთ ასეთ სარეველას აქვს ისეთი მყარი ღერო, რომელსაც ვერ ძლევენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების ლითონის აგრეგატები — ისინი იმსხვრევა. როგორ ვებრძოლით ასეთ სუპერსარეველებს? არის მხოლოდ სამი ვარიანტი. გამოვიყენოთ სხვა ბერბიციდი ან იგივე, მაგრამ ათასგზის მეტი კონცენტრაციისა, ვიდრე ტექნოლოგიითაა გათვალისწინებული. დაბოლოს, მამაპაპური მეთოდით ხელით გამარგვლა.

რაც შეეხება ფოთლის მღრღნელებს, დროთა განმავლობაში ისევე როგორც სუპერსარეველებთან, ჩნდება სუპერმავნებელთა პოპულაცია, რომელიც მყარია იმ შხამებისადმი, რომლებიც ახდენენ რეგიონში წარმოებული გენურ-მოდიფიცირებული მცენარეების პროდუცირებას. ამ პოპულაციებთან ბრძოლის მეთოდად გვთავაზობენ შევქმნათ ისეთი მცენარეები, რომლებიც მოახდენენ არა ერთი შხამის სინთეზირებას, არამედ რამდენიმესი. მაგრამ დროთა განმავლობაში იგივე პოპულაციები შეიძენენ სიმყარეს ამ შხამებისადმი. ესე იგი მეთოდი ეფექტიანია მხოლოდ დასაწყისში. აღწერილია სხვა ვარიანტიც, როდესაც ერთი მავნებლის შემცვლელად მოდის მეორე და მოაქვს ზიანი, შეიძლება უფრო მეტიც, ვიდრე იმას, რომლის წინააღმდეგაც იყო გათვლილი გენურ-მოდიფიცირებული ორგანიზმების ეს სახეობა.

— ესე იგი ჩვენ ვერ მივიღეთ ის შედეგი, რასაც ველოდით...

— ჩვენ — ეს ვინაა? მოსავლის მომყვანი — კი. მაგრამ არა თესლის მწარმოებლები.

— სწორია, რომ ეს თესლი არ შეიძლება გამოვიყენოთ ხელმეორედ?

— ფირმამ ხომ უნდა უზრუნველყოს თავისი თავი მოგებით სამუდამოდ. მცენარეთა გენური მოდიფიცირების მიღების დროს იყენებენ ეგრეთ წოდებულ ტერმინატორულ ტექნოლოგიებს, რომლებიც თავიდან გვაცილებენ წინა მოსავლიდან მომდევნო მოსავლის მიღებას. და თუ ფერმერი გაზაფხულზე შეეცდება გამოიყენოს შემოდგომაზე მიღებული თესლი, იგი, უბრალოდ, არ ამოვა.

— ამრიგად, გლეხი დამოკიდებულია თესლის მწარმოებელ კომპანიაზე?

— მთლიანად და სავსებით.

— წერენ, რომ შხამები, რომლებმაც უნდა დახოცოს მავნებლები, კლავენ სასარგებლო მწერებსაც, მაგალითად, ფუტკრებს.

— თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ ფუტკრები კარგავენ სახლში, თავიანთ სკებში დაბრუნების ინსტინქტს, და ბუნებრივად, იღუპებიან. ხუთი წლის წინათ ჩრდილოეთი ევროპისა და ჩრდილოეთი ამერიკისთვის ეს იყო ნამდვილი უბედურება. სკების 90 პროცენტამდე დაიღუპა. თითქოსდა დაიწყეს მიზეზების შესწავლა, მაგრამ დღემდე ჯეროვნად ამ კითხვას ვერ უპასუხეს.

— თან წერენ, რომ მწერები კარგავენ გამრავლების უნარს.

— ფუტკრებთან დაკავშირებთი მე მონაცემები არ მაქვს. აი, თუ გენურ-მოდიფიცირებული ორგანიზმებით თბილსისხლიანების კვებაზე ვისაუბრებთ, მაქვს. მაგალითად, ვირთხებისა და თაგვების შემთხვევაში მესამე თაობაც კი ზარალდებოდა. ყველას გაუუარესდა ღვიძლის, თირკმლების მუშაობა, შეეცვალა სისხლის შემადგენლობა, დაახლოებით 4,5 ათასი გენის მუშაობა, და ყველას სათითაოდ უქვეითდებოდა პროდუქტიულობა. ყველაზე ბოლო ნაშრომი გამოქვეყნდა 2013 წელს ავსტრალიაში. გამოიკვლიეს ღორები. და შედეგებიც დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც ვირთხებთან, — დაეცა ოდენობა, დაეკარგათ კვლაწარმოების უნარი. მემკვიდრეობაში, სქესთა განაწილებაც იცვლება — იბადება გაცილებით მეტი დედალი სქესისა. ერთ-ერთ ცდაში, რომელიც ჩვენ ქვეყანაში ი. ვ. ერმაკოვამ (ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, გაეროსთან არსებული ქალთა ეკოლოგიური ასამბლეის წევრმა) შეასრულა, დაფიქსირებულია ქცევების დარღვევაც კი. საცდელ ცხოველებს ეზრდებათ აგრესიულობა, ეკარგებათ დედობრივი ინსტინქტი, უფრო მეტიც — ისინი თავიანთ ნაყოფს ჭამენ.

— დიახ, მე ეს წავიკითხე. „მშობლების მიერ ტრანსგენური პროდუქტების მოხმარება უდიდეს ზიანს აყენებს მათ შთამომავლობას, — წერს ის, — ჩემს ცდებში ვირთხების შვილთა ნახევარზე მეტი იხოცებოდა, ვინაიდან არ გაჩნდათ სიცოცხლისუნარიანობა, გადარჩენილთა ორმოცი პროცენტი იყო განუვითარებელი, ესე იგი, გაცილებით ნაკლები თავიანთ თანატოლებზე მოცულობითაც და წონითაც. და ყველა გადარჩენილი იყო უნაყოფო. ერთ-ერთ ბოლო სერიაში მე მამალი და დედალი ვირთხების საკვებს ვუმატებდი ტრანსგენურ სოიის შროტს (ესაა ძვირფასი პროტეინიანი საკვები, რითაც კვებავენ ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო ცხოველს — რედ.) — და უკვე აღარ მქონდა ნორმალური პირველი თაობაც კი: დედალი ვირთხების 85 პროცენტს შთამომავლობა არ გააჩნია“.

— უბედურება ისაა, რომ ამ საქმეშაოს არავინ აფინანსებს. უფრო მეტიც, დასავლეთში არის უძლიერესი ლობი, რომელიც ცდილობს ამგვარი გამოკვლევები ან თავიდან აიცილოს, ან გააბაიბუროს, ავტორები კი თავიდან აიცილოს.

— რა გამოდის: გამოგვყავს პროდუქცია — არის ეფექტი, მოსალოდნელის საპირისპირო. ვკვებავთ ამ პროდუქტით საქონელს — ასეთივე ეფექტია.

— ნებაყოფლობით გენურ-მოდიფიცირებული ორგანიზმებს არავინ აწარმოებს. მიდის ხელების გადაგრეხა. „მონსანტო“ აქტიურად იბრძვის იმისთვის, რომ იმან, ვინც კიდევ ფეხზე დგას, აწარმოოს იგი. იბრძვის ყველა მეთოდით, მათ შორის, სასამართლოთიც. ინდოეთში, ჩინოვნიკებთან მოლაპარაკებით, „მონსანტომ“ აიძულა ფერმერები გამოეყვანათ მხოლოდ გენურ-მოდიფიცირებული ბამბა. სხვა რამისთვის ბანკები უბრალოდ კრედიტებს არ იძლეოდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ინდოელმა ფერმერებმა დაიწყეს მასობრივი გაკოტრება და ნებაყოფლობით წასვლა ამ ქვეყნიდან.

და, აი კიდევ რა. მიაჩნიათ, რომ რაუნდაპი, ის ჰერბიციდი, რომელსაც ამერიკელები უშვებენ, ბუნებრივ პირობებში, ძალიან მალე იხრწნება. და აი, ირკვევა, რომ ეს ასე არაა. სადღაც იხრწნება, სადღაც არა, ხოლო თუ იხრწნება, არა ბოლომდე და გააჩნია რის გამო. და გახრწნის ეს პროდუქტები შეიძლება აღმოჩნდნენ არაფრით უკეთესი, ვიდრე თავად რაუნდაპი. ისინი გროვდება ძირხვენებში, თუ ეს შაქრის ჭარხალია, ან თესლში — ბამბაში. დიახ, არც ჩვენ, არც ამერიკელები ბამბის ზეთს საკვებად არ ვიყენებთ, მაგრამ მთელი შუა აზია, ინდოეთი, სხვა ქვეყნები ჭამენ. რატომღაც ჩვენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ეს არსად არაა აღწერილი.

— რაღაც აგრესია გამოდის...

— მე ვიტყოდი, ექსპანსია. თესლების მწარმოებელთა უდიდეს უმრავლესობას შტაბ-ბინები ამერიკის შეერთებულ შტატებში აქვს. გასაგებია, ამა თუ იმ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება განისაზღვრება იმით, თუ ამა თუ იმ ქვეყანას რამდენად შეუძლია უზრუნველყოს თავისი თავი საკვებით. თუ თესლი არ იქნება? ესე იგი მოაწყო ხელოვნური შიმშილობა — პრობლემა არაა.

— აი თქვენ ახლა შეეხეთ გენურ-მოდიფიცირებული ორგანიზმების გავლენას მცენარეებზე, მწერებზე, ცხოველებზე. ეს ადამიანებზეც ასე მოქმედებს?

— ვინ იცის. ცნობილია მხოლოდ ერთი გამოკვლევა დიდ ბრიტანეთში, რომელიც, სხვათა შორის, ინგლისის მთავრობის დაფინანსებით მოეწყო. სწავლობდნენ, თუ კერძოდ რა გამოვა, თუ ადამიანს ვაჭმევთ არა მთლიანად გენურ-მოდიფიცირებული საკვებს, არამედ იმ პროდუქტებს, რომლებიც შეიძლება შეიცავდნენ მცენარეების გენურ-მოდიფიცირებულ კომპონენტებს. სწავლობდნენ იმ ავადმყოფებზე, რომლებიც საავადმყოფოში იწვნენ. და ისინი, ვინც გენურ-მოდიფიცირებულ სოიას ღებულობდა, გაცილებით ნელა ჯანმრთელდებოდა, ვიდრე ისინი, ვინც მას არ ღებულობდა.

იხ. 8 გვ.

დედამიწის ზურგზე

უკრაინის რადაში უკრაინის კომპარტიის ფრაქცია დაიშალა

„ეს ისტორიული მოვლენაა. იმედი მაქვს, რომ ამიერიდან უკრაინის პარლამენტში არასოდეს აღარ იქნება კომუნისტთა ფრაქცია“, — განაცხადა ალექსანდრე ტურჩინოვმა მას შემდეგ, რაც დუმის სპიკერმა აღნიშნული გადაწყვეტილება გააასაჯაროვა. კანონს, რომლის ძალითაც შესაძლებელი გახდა პარლამენტიდან კომუნისტთა განდევნა, რომელთა დონბასელი სეპარატისტების დაფინანსებაში სდებენ ბრალს, მანამდე ცოტა ხნით ადრე მოაწერა ხელი.

* * *

სამთავრობო კრიზისის ფონზე ბულგარეთის პრემიერი გადადგა

ბულგარეთის მთავრობა წელიწადზე ოდნავ მეტი ხნის ჩამოყალიბებული იყო. მას მერე ქვეყანა სერიოზულ პრობლემას შეეჯახა, მთავრობამ კი ოპოზიციის კრიტიკა ბევრჯერ დაიმსახურა. ამას გარდა, ბულგარეთის სოციალურმა პარტიამ წააგო არჩევნები ევროპარლამენტში. „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობის გაყინვამ ვითარება ვერ გააუმჯობესა.

* * *

ნატო ამტკიცებს, რომ „ბოინგის“ ჩამოგდების შემდეგ რუსეთიდან უკრაინის აღმოსავლეთში იარაღის ნაკადი გაიზარდა

დასავლეთი ადრეც არაერთხელ აფრთხილებდა რუსეთს, რომ დაუყოვნებლივ შეეწყვიტა სეპარატისტებისთვის შეიარაღების მიწოდება, თორემ მის წინააღმდეგ სანქციები გამკაცრდებოდა. რუსეთის ხელისუფლებასა და თავდაცვის სამინისტროში კი ამტკიცებენ, რომ მოსკოვი უკრაინის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლებს არანაირ შეიარაღებას არ აწვდის.

* * *

უკრაინის მოვლენების და „ბოინგის“ კატასტროფის გამო ვარშავამ გადაწყვიტა, არ აღნიშნოს რუსეთში პოლონეთის წელიწადი

აპრილში ვარშავამ განაცხადა, რომ აპირებდა დაგეგმილი ღონისძიებების პროგრამის შემცირებას. „ბოინგის“ კატასტროფის მერე კი ქვეყნის ხელისუფლებამ, საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ შეუძლებელია რუსეთში პოლონეთის წლის ჩატარება.

„შამილის გზა“

კიდევ ერთი საფრთხე, თუ...

იმის მიუხედავად, რომ საქართველო რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას ცდილობს და ეკონომიკურ საკითხებში გარკვეული წინსვლაც არსებობს, საექსპერტო და პოლიტიკურ წრეებში მუდმივად საუბარია, რომ განსაკუთრებით ევროპასთან ასოციერების ხელშეკრულების შემდეგ, საქართველო მუდმივად ყურადღებით უნდა იყოს, რათა შეცდომა არ დაუშვას და რაიმე პროვოკაციას არ წამოეგოს. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ 2014 წლის 1 ოქტომბრიდან, რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი ახალი ავარო-კახეთის ავტომაგისტრალის მშენებლობა დაიწყება. დაღესტნის ავტოგზის პრესსამსახურის ხელმძღვანელის ანდრეი ბონდარევის განცხადებით, პროექტზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს.

„ეს გახლავთ დაღესტნის მეთაურის ინიციატივა. ამ ეტაპზე შეძლებისდაგვარად მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა და მოსამზადებელი გეოლოგიური სამუშაოები. ეს სამუშაოები აგვისტოში დასრულდება. შემდეგ დაიწყება პროექტის დოკუმენტაციის მომზადება და შემდეგ უკვე გადაეგზავნება მოსკოვს განსახილველად“, — განაცხადა ბონდარევმა.

დაღესტნის ავტოგზის პრესსამსახურის ინფორმაციით, ავარო-კახეთის ავტომაგისტრალის სიგრძე მთლიანად 83 კილომეტრი იქნება. გზამ 3 მთა უნდა გაიაროს, რისთვისაც 25 ხიდის და 5 გვირაბის აშენება იქნება საჭირო. აღნიშნული მაგისტრალი იქნება უმოკლესი გზა საქართველოსთან დასაკავშირებლად და შავ ზღვაზე გასასვლელად. ავარო-კახეთის დამაკავშირებელი მაგისტრალი დაღესტანზე გაივლის და მთლიანად ასფალტო-ბეტონის საფარით იქნება მოპირკეთებული. მშენებლობაზე რელიეფის სირთულის გამო, პროექტზე 30 მილიონი დაიხარჯება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციას არ ფლობს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრის ელგუჯა ხოკრიშვილის განცხადებით კი აღნიშნული ავტომაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით კონსულტაციები რუსულ და დაღესტნის მხარესთან არ ყოფილა. მისი განმარტებით, გზა არ გაივლის საქართველოს ტერიტორიაზე, შესაბამისად ამ პროექტში ქართული მხარე ჩართული არ არის.

„ჩვენთან ამ გზის მშენებლობასთან დაკავშირებით არანაირი კომუნიკაცია არ შემდგარა, არანაირი შეთანხმება არ არსებობს. აქედან გამომდინარე, თვითონ თავიანთ ტერიტორიაზე რაღაც გზის მშენებლობას თუ გეგმავენ, ჩვენ წინააღმდეგობას ვერ გავუწევთ. მათ ტერიტორიაზე სრული უფლება აქვთ გზის მშენებლობები განახორციელონ“, — ხოკრიშვილმა.

„ჩვენი ორმხრივი დიალოგის ფარგლებში აღნიშნული საკითხი არ განგიხილავთ, ვკითხე ჩემს კოლეგებს და არც ისინი არიან საქმის კურსში. რუსეთს ნებართვა არ სჭირდება, რომ საკუთარ ტერიტორიაზე რაღაც ააშენოს. ორმხრივ ფორმატში, რომ ეს ერთობლივი პროექტი და ორ ქვეყანას შორის დამაკავშირებელი გზა ყოფილიყო, ამაზე საუბარი არ ყოფილა“, — განუცხადა ჟურნალისტებს ზურაბ აბაშიძემ.

თავისთავად, ახალი გზის მშენებლობა, ინფრასტრუქტურის შექმნა მხოლოდ პროგრესს უკავშირდება, თუმცა, როდესაც პროექტში რუსეთია ჩართული, ბუნებრივია, ჩნდება კითხვები და ეჭვები, ხომ არ შეეცდება ჩვენი მეზობელი ახალი მაგისტრალის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას. ეს თემა საქართველოში ჯერჯერობით აქტიურად არ განიხილება, თუმცა, ეს, ალბათ, მოგვიანებით მოხდება, მას შემდეგ, რაც რუსეთი პროექტს „მწვანე შუქს“ აუნთებს.

და მაინც, რა მნიშვნელობა ექნება ამ გზას საქართველოსთვის და არის თუ არა გარკვეული საფრთხეებისა და რისკების გათვალისწინება საქართველოსთვის აუცილებელი, უშიშროების მდივნის მრჩეველი თეონა აქუბარდია თვლის, რომ ყველაზე დიდი საფრთხე ის არის, რომ რუსეთის ჯარი იმყოფება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში.

„ამ გადასახედიდან, ეს მაგისტრალი არ იქნება დამატებითი საფრთხე. შესაძლოა, რუსეთის მხრიდან გარკვეული მიზნებისთვისაც იყოს გამოყენებული, მაგრამ ამ შემთხვევაში, როდესაც რუსეთისგან სამხედრო საფრთხის რეალობა სხვა მიმართულებიდან, თბილისიდან 40 კილომეტრის მანძილზეა, ეს უფრო მეტი რისკების შემცველია, ვიდრე ახალი გზა“, — აცხადებს თეონა აქუბარდია.

ექსპერტი სანდრო თვალჭრელიძე, თვლის, რომ თუკი პროექტი დამტკიცდა, საქართველოსთვის საკმაოდ ნეგატიური შედეგის მომტანი იქნება.

„ეს გზა გრიგოლ ორბელიანმა ააშენა შამილის წინააღმდეგობის დროს. თუ ეს გზა მართლაც აშენდა, ეს იქნება ჩვენთვის ძალიან ცუდი და დამღუპველი. ეს არ იქნება კონტროლირებადი გზა, გახდება ნარკოტიკებისა თუ ტრეფიკინგის წყარო. დაღესტანი ძალიან მძიმე ქვეყანაა, მძიმე ფსიქოლოგიის მატარებელი ხალხი ცხოვრობს, რომლისთვისაც კანონის უზენაესობა არაფერს ნიშნავს. ასე რომ, ქურდობებისთვის, ნარკოტიკებისთვის გზა ხსნილი იქნება“, — მიიჩნევს სანდრო თვალჭრელიძე.

რაც შეეხება ნარკოტრაფიკს, თეონა აქუბარდიას განცხადებით, ოკუპირებული ტერიტორიები ამ კუთხით ყველაზე პრობლემურია და ეს საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებებშიც არის ასახული.

„ვნახოთ, მომავალში რა იქნება, მაგრამ მთავარია, რას გააკეთებს საქართველოს ხელისუფლება, რამდენად იქნება დაცული საზღვრები და როგორ გაკონტროლდება ის“, — აცხადებს აქუბარდია.

სანდრო თვალჭრელიძე თვლის, რომ ამან შესაძლოა, კრიმინოგენური ვითარებაც გაუარესოს.

„ერთხელ ერთმა დაღესტნელმა მითხრა, დაღესტნელები არ იპარავენ, თუ აიღო, გამოდის, რომ სჭირდებოდაო. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ ისინი თავისუფლად გადაადგილდებიან საქართველოში“, — შიშობს თვალჭრელიძე.

ექსპერტ გია ხუხაშვილის მოსაზრებით, თუ ნორმალური ურთიერთობებია, ქვეყნებს შორის უფრო პოზიტივს ხედავს-ხოლმე, ვიდრე ნეგატივს.

„რაც შეეხება კონტრაბანდასა და დივერსიას, დივერსიები კარგი გზებით არ ხდება. ძირითადად ხდება ჩუმად და ბნელ ღამეში. ზოგადად, ნებისმიერი გზა ჩემთვის ასოცირდება პოზიტივთან. არა მგონია, ეს აგრესიისთვის ხდებოდეს, რუსული აგრესია არსებულ გზებსაც მშვენივრად იყენებს და ეს ვნახეთ არაერთხელ“, — მიიჩნევს ხუხაშვილი.

მისივე შეფასებით საფრთხეებზე საუბარი ამ შემთხვევაში გადაჭარბებულია.

„ინფრასტრუქტურულ პროექტებში საფრთხეს ვერ ვხედავ. სხვა საკითხია, რამდენად გვჭირდება. სხვა საკითხია მისი ეფექტურობა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ასეთი ტიპის კომუნიკაციები არის რაიმე საფრთხის შემცველი. თუ ვინმეს აგრესია უნდა, ამის გარეშეც მშვენივრად ახერხებს და ჩვენ ეს ვნახეთ 2008 წელს. აქედან გამომდინარე, არა მგონია, რომ ამ გზაზე რაიმე განსაკუთრებული მოხდება. შეიძლება, პირიქით, მოწესრიგდეს ურთიერთობები და აქედან გამომდინარე, საფრთხეებზე საუბარი გადაჭარბებული მგონია“, — მიიჩნევს ხუხაშვილი.

რაც შეეხება ეკონომიკურ სტიმულირებას სანდრო თვალჭრელიძე მიიჩნევს, რომ დარიალის საბაჟო გამშვები პუნქტიც კარგად ერევა თავის საქმეს.

„იქ ხეობა ძალიან ვიწროა, გზა მთაზე გადადის და ძალიან ადვილი იქნება საგუშაგოებისთვის გვერდის ავლა. კარგად ვიცნობ იმ გზის რელიეფს, მიმუშავია გეოლოგად ახალგაზრდობაში, ვთვლი, რომ ჩვენთვის ცუდი პროექტია. საქართველოს შეუძლია, ნეიტრალური ზონიდან არ გააკეთოს გადმოსასვლელი და ჩვენს ტერიტორიაზე გზა ააფეთქოს — ეს ჩვენი სუვერენული ტერიტორიაა და რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ“, — მიიჩნევს სანდრო თვალჭრელიძე.

როგორც ცნობილია, აღნიშნულ მონაკვეთზე საზღვარი 1992 წლიდან ჩაკეტილია, თუმცა, ყვარლის რაიონის მოსახლეობა ამტკიცებს, რომ საგუშაგოს მეორე მხარეს, რუსეთის ტერიტორიაზე სამუშაოები დაწყებულია. დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროში ადასტურებენ, რომ რეაბილიტაცია დაიწყო და გზა ჯერჯერობით საზღვრამდე მივა.

დაღესტნის მხარე ხაზს უსვამს, რომ ავარო-კახეთის გზა უზრუნველყოფს უმოკლეს მიმართულებას საქართველოსკენ და შავი ზღვის კურორტებისკენ, მთელი წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ამ გზის ამოქმედება ხელს შეუწყობს დაღესტნის მთის რაიონების განვითარებას, აგრეთვე აქ დისლოცირებული რუსეთის სასაზღვრო ნაწილების კავშირის გაუმჯობესებას ცენტრთან.

დაღესტნის ხელმძღვანელობამ არაერთგზის განაცხადა, რომ მხარს უჭერს გზის ამოქმედებას და მასში რესპუბლიკის პროგრესსა და პერსპექტივას ხედავს.

ასევე ცნობილია, რომ 2008 წლის ომამდე ვლადიმერ პუტინი ბოთლიხის ბაზაზე ყოფნისას საჯაროდ დაინტერესდა აღნიშნული გზის გამტარიანობით, ეს გზა რუსეთის მხარეს 2007 წელს პუტინმა უკვე მოახრეშინა და გვერდით კი ბოტლიხის სამთო ბრიგადა განალაგა.

მარიამ თოდაძე

◎ ალიანჩალიანი

მერიის ყველა სამსახური ჩვეულ რეჟიმში მუშაობს

თბილისის საქალაქო სტრუქტურების ერთეულების ხელმძღვანელები თავიანთი უფლებამოსილების შესრულებას 2 აგვისტომდე განაგრძობენ.

თბილისის მერიაში მთავრობის სხდომა გაიმართა, რომელსაც საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელები და გამგეებლები ესწრებოდნენ. სხდომის დასაწყისი მედიისთვის ღია იყო, რომლის დროსაც მთავრობის სხდომის ხელმძღვანელმა, თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა პაპუნა პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ მერიის ყველა სამსახური ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობს. ყველა სერვისი თბილისის მოქალაქეებს შეუფერხებლად მიეწოდებათ და არანაირ საბოტაჟს ადგილი არა აქვს. მისივე თქმით, შემდგომი 11 დღის განმავლობაში სანამ მერიაში ახალი მთავრობა მოვა, მუშაობას ასევე ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ.

პაპუნა პეტრიაშვილის ინფორმაციით, თბილისის ახლადარჩეული მერის იურისტები სამშაბათს იმყოფებოდნენ მერიაში და მერიის იურისტებთან კონსულტაციები ჰქონდათ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ თბილისის მერიის ძველი გუნდი მუშაობას 2 აგვისტომდე გააგრძელებს. მისივე თქმით, 2 აგვისტოს შემდეგ იგი თავად არ აპირებს, დარჩეს მერიაში თანამდებობაზე და ასეთი შემოთავაზება არც მიუღია. პეტრიაშვილის აზრით, დედაქალაქის ახალი მერი დავით ნარმანია თბილისის მერიაში ახალი გუნდით მივა და უმჯობესია ასპარეზი მათ დაუთმონ.

როგორც მერიაში განმარტავენ, თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის გამოცხადების შემდეგ თბილისის სტრუქტრული ერთეულების ხელმძღვანელებს უფლებამოსილება შეუწყდათ, თუმცა, შეთანხმების თანახმად, თანამდებობებზე, 2 აგვისტომდე დარჩებიან.

უფასო სახელმძღვანელოები – მოსწავლეებს

როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ განაცხადა, წელს უფასო სახელმძღვანელოს მიიღებს 1-დან მე-12 კლასის ჩათვლით საქართველოს საჯარო სკოლების ყველა მოსწავლე. ასევე უფასო სახელმძღვანელოებს მიიღებენ კერძო სკოლების სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების წევრი მოსწავლეები, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები, იმ კერძო სკოლების მოსწავლეები, რომლებიც ამ სკოლის პრივატიზებამდე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდნენ, ასევე ახალგორის მუნიციპალიტეტისა და გალის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული იმ სკოლების მოსწავლეები, სადაც სწავლება ქართულ ენაზე ხორციელდება.

როგორც თამარ სანიკიძემ განმარტა, სახელმძღვანელოების ნაწილი იბეჭდება გაერთიანებული სტამბის ფარგლებში. გასულ წელს პროგრამაზე 18 მილიონი ლარი დაიხარჯა, წელს კი მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამა, სავარაუდოდ, 12-13 მილიონი ლარი დაჯდება.

ავღანეთიდან 23-ე ბატალიონის მორიგი ნაკადი დაბრუნდა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 23-ე ბატალიონი ქართველი სამხედროების ოთხწლიანი მსახურის შემდეგ, ბოლო ქართული ქვედანაყოფია, რომელიც ISAF-ის მისიის ფარგლებში, ჰელმანდის პროვინციაში საბრძოლო დავალებებს საქართველოს დროშის ქვეშ ასრულებდა.

მათივე ინფორმაციით, ავღანეთში ქართველი სამშვიდობოები მონაწილეობას იღებდნენ ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში. ისინი კოალიციურ ძალებთან ერთად, 4 თვის განმავლობაში სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებდნენ.

როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, მეორე ეტაპზე სამშობლოში 23-ე ბატალიონის 150 სამხედრო მოსამსახურე ჩამოვიდა. ბატალიონმა საერთაშორისო მისია უდანაკარგოდ შეასრულა. ქვედანაყოფის პირადი შემადგენლობა საქართველოში ეტაპობრივად დაბრუნდება.

ინტერპრესი

◎ მეწარმეობის ხელშეწყობა

პროგრამები გვაქვს, შედეგებს როდის მივიღებთ?

სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელზეც ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებს, ზუსტად ორი თვის წინათ, გორში დაიწყო. შიდა ქართლის გულში დაწყებული ამ პროგრამის ბიუჯეტი, როგორც ცნობილია, 46 მილიონი ლარია, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავებაზე 30 მილიონი ლარია გათვალისწინებული, დანარჩენი 16 მილიონი ლარი კი ინდუსტრიული პროდუქციის წარმოებაზე დაიხარჯება.

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიზანი, როგორც ოფიციალურად იყო განცხადებული, კონკურენტუნარიანი სამამულო წარმოების წახალისება და მაქსიმალურად ხელშეწყობაა. ამით სახელმწიფომ დაინტერესებულ ადგილობრივ მეწარმეებს საკონსულტაციო, ინფრასტრუქტურული და ფინანსური, უფრო სწორად, საკრედიტო მხარდაჭერა აღუთქვა. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პროგრამა მხოლოდ ახალი საწარმოების შექმნაზეა გათვალისწინებული. ამ მიზნით დაინტერესებულმა მეწარმემ კრედიტის მისაღებად რომელიმე კომერციულ ბანკს უნდა მიმართოს, შესაბამისი ბიზნეს-გეგმა წარადგინოს და შეღავათიანი სესხი აიღოს. გარდა ამისა, მას შეუძლია სახელმწიფოსგან, სიმბოლურ ფასად, საწარმოს ასამოქმედებლად, უძრავი ქონებაც მიიღოს.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ჩართული საწარმო, დათქმული პირობის თანახმად, უნდა ახორციელებდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავებას, ანდა სამეწარმეო საქმიანობას განსაზღვრული სექტორების მიხედვით უნდა ეწეოდეს, კერძოდ, აწარმოებდეს სამშენებლო მასალებს, ქიმიურ, რეზინისა და პლასტმასის, მანქანათმშენებლობისა და ზოგიერთ სხვა პროდუქციას.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სოლიდური საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, მათ შორის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერა აქვს, რომელიც ქვეყანაში საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებას რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულებით გეგმავს. სამხრეთ კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში ევრობანკის დირექტორის ბრუნო ბალავანერას განცხადებით, ესენია **სოფლის მეურნეობა, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობა, ასევე ტურიზმი, კერძოდ კი სასტუმროების ბიზნესი.** საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობას ბანკი სწორედ ამ მიმართულებებით აპირებს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქმიანობის დაწყებიდან პირველი ორი წლის მანძილზე მეწარმეთა გარანტორი სახელმწიფო იქნება. სესხის მოცულობისდა მიხედვით, კრედიტების საპროცენტო განაკვეთები 11-13 პროცენტი იქნება, საიდანაც 10 პროცენტს ამ ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო დააფინანსებს, დანარჩენს თავად მეწარმე სუბიექტი დაფარავს.

ამასთან, არსებითია ის, რომ ექსპერტთა ნაწილი პროგრამის სრულფასოვნად შესრულების პერსპექტივას, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად უყურებს, თუმცა კი ამის მიზეზი, ზოგიერთის თქმით, არა თავად პროექტის არასრულფასოვნებაა, არამედ ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსი, რომელიც, მათი აზრით, მცირე და საშუალო ბიზნესს ზღუდავს. ამ აზრს გამოთქვამს, კერძოდ, თავისუფალ მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარე **ანზორ საკანდელიძე,** რომელიც მიიჩნევს, რომ ქვეყანაში დღესდღეობით არსებულ საგადასახადო პირობებში, მთავრობის პროგრამა ჩავარდება.

— ახალი საგადასახადო კოდექსის გარეშე პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ კრახით დამთავრდება, რაც, ჩვენი ეკონომიკის განვითარების დონესთან შედარებით, დიდი გადასახადების და რთული გამოანგარიშების სისტემითაა განპირობებული, — ამბობს ბატონი საკანდელიძე. **— თავი დავანებოთ ტრაბახს, თითქოსდა საქართველოში გადასახადების რიცხვი მინიმალურია, საგადასახადო კოდექსი კი — დად ვიღებდი მონაწილეობას და ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებებს ვხელმძღვანელობდი, თუმცა, ეს სხვა თემაა. შემდეგ უცხოელ ექსპერტებთან ერთად „საქართველო — 2020“-ის შემუშავებაში ვმონაწილეობდი. მას შემდეგ აგერ უკვე რამდენი ხანი გავიდა, შედეგი კი ნულია. როგორც ჩანს, სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ პრემიერ-მინისტრთან შექმნილი ეკონომიკური საბჭოს რჩევით შეიქმნა და, სიმართლე გითხრათ, სერიოზულ შთაბეჭდილებას არ ტოვებს. რაც შეეხება საგადასახადო კოდექსის ხარისხს, რომელსაც ზოგიერთი ექსპერტი ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის წინსვლის გზაზე დაბრკოლებად მიიჩნევს, ის ნამდვილად ცუდია, მაგრამ უშუალოდ მასზე ბევრი არაფერია დამოკიდებული.**

ოთარ ტურაბელიძე

◎ უცხოეთის პრესიდან

სასიამოვნო გემოს მქონე გამანადგურებელი იარაღი

(მეექვსე გვერდიდან)

— ასეთ რეაგირებას ახდენდა იმუნური სისტემა?

— მათ შორის, იმუნური სისტემაც.

— ირინა ერმაკოვა წერს კიდევ, რომ ტრანსგენურ ორგანიზმებს მივყავართ ონკოლოგიასთან, ალერგიასთან, უნაყოფობასთან, შინაგანი ორგანოების პათოლოგიასთან.

— ეს ასეა.

— და აი მე — ადამიანი, ვინც შორსაა მეცნიერებისაგან, — მივდივარ მაღაზიაში და მეშინია: რას ვყიდულობ? რა პროდუქტებია დაშვებული გასაყიდად?

— თესვისთვის, მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით ოფიციალურად არაფერია ნებადართული. გაყიდვა — კი ბატონო. იგივე სოია, სიმინდის რამდენიმე მწკრივი. თანაც დასავლეთში დიდი ხანია დადგენილია, რომ ყველა ისინი მავნეა ორგანიზმისთვის. ჩვენთან კი ნებადართულია საკვებად. ეს შაქრის ჭარხლია...

— მაგრამ იგივე სოიას ხომ ბევრ პროდუქტში იყენებენ. შეუძლებელია ყველაფერი აკონტროლო...

— რატომ? სახელმწიფოსთვის ყველაფერია შესაძლებელი. სურვილი ყოველთვის არ გიჩნდება. რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლის ერთ-ერთი პირობა სწორედ იყო ეკონომიკური განვითარების მაშინდელი მინისტრის გრეფის მიერ მთავრობის სახელით საგარანტიო წერილზე ხელმოწერა, რომ ჩვენ ტერიტორიაზე ნებადართული იქნება გენურ-მოდიფიცირებული ორგანიზმები. და სწორედ ამიტომ მთავრობა მანიაკალური სიჯიუტით ცდილობს გაყიდვის გარდა, მოიწიოს ჩვენში გენურ-მოდიფიცირებული კულტურები.

— მე მაღაზიაში შემიძლია განვსაზღვრო, არის თუ არა პროდუქტში ტრანსგენი? შეიძლება ვენდო მარკირებას?

— შეკითხვა, რასაკვირველია, საინტერესოა. კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ ნებას იძლევა არ მოვახდინოთ პროდუქციის მარკირება, თუ მასში ტრანსგენური კომპონენტების წილი არ აჭარბებს 0,9 პროცენტს. თუმცა, გაურკვეველია, რისგან უნდა გამოვითვალოთ ეს პროცენტები. ევროკავშირში განსაზღვრულია — დავუშვათ, პროდუქტში სოიის შემცველობის რაოდენობაზე. ჩვენთან კი — არა.

— ასე რომ, დღეს ჩვენ დაუცველები ვართ?

— როგორც ყოველთვის.

— გენურ-მოდიფიცირებული ორგანიზმები — ეს იარაღია?

— ერთგვარი.

— იგი შეიძლება გავუთანაბროთ მასობრივი განადგურების იარაღს?

— ეს ძალიან ხმამაღალი ნათქვამია. თუმცა, თავისი არსით, ეს ასეც არის.

— ხალხი, ისევე როგორც თბილსისხლიანი ცხოველები, გახდება ავად და დაიხოცება, შთამომავლობა კი უნაყოფო გახდება? ყოველ შემთხვევაში ასე წერს ირინა ერმაკოვა.

— ასე იქნებოდა იმ შემთხვევაში, ადამიანები რომ მხოლოდ გენურ-მოდიფიცირებული ორგანიზმებით იკვებებოდნენ. მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენ ყველაფრის მჭამელები ვართ და გენურ-მოდიფიცირებული ორგანიზმების დოზა ჩვენ რაციონში არაა 100 პროცენტი. თუ სწორედ გენმოდიფიცირების როგორი დოზა მიგვიყვანს იმასთან, რაზეც ერმაკოვა წერს, ძნელი სათქმელია. არავინ იმას არ სწავლობს. ასევე არავინ გეტყვით, თუ რა დოზას ვღებულობთ. შეიძლება არ მოახდინო პროდუქციის მარკირება, იმიტომ, რომ ამისათვის სულ ერთია არ დაგსჯიან. არ იციან, როგორ დაგსაჯონ, იმიტომ, რომ ზომებიც ჯერჯერობით არსადაა მითითებული. ამისათვის ჯერჯერობით არავის პასუხი არ უგია. არც აგებს, სანამ კანონმდებლობა არ შეიცვლება.

— და, საერთოდ, რომელ პროდუქტებში შეიძლება იყოს გენურ-მოდიფიცირებული ორგანიზმები?

— რომელშც გინდა. ცხოველები ტრანსგენურ სიმინდს ჭამენ. უსაფრთხოა მათი ხორცი თუ არა?.. ვიმეორებ, ასეთი გამოკვლევები არ წარმოებს. ხოლო, თუ გამოჩნდება რაიმე, მთელი ინფორმაცია ძირშივე იკარგება.

— მაგრამ ეს ხომ ეროვნული უსაფრთხოების ელემენტია. ყველაფერს თვალყურს უნდა ადევნებდნენ სულ ზევით, ყველაზე მაღლა.

— ასე უნდა იყოს. და დროდადრო ამ საკითხს განიხილავენ. ოღონდ როგორია ამ განხილვათა შედეგები, კერძოდ, რას ლაპარაკობენ და რას წყვეტენ იქ, არავინ იცის. არადა, რაღაც გამოკვლევებს თავად სახელმწიფო უნდა უკვეთავდეს, თანაც პროფესიულ სამეცნიერო დაწესებულებებს. სახელმწიფოს კი ურჩევნია მოახდინოს მეცნიერებათა აკადემიის „რეფორმირება“.

— თუ არის რაიმე ხელსაწყო, რომელიც დაგვეხმარება თავად გავერკვეთ, თუ რას ვყიდულობთ და რას ვჭამთ?

— ხელსაწყოები იმის გასარკვევად, არის ტრანსგენები თუ არა, ბევრია. მაგრამ, ჯერ ერთი, ისინი ძვირია, მეორეც, ისინი შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ სპეციალისტმა, ვინაიდან იცის, რა უნდა ვეძებოთ, როგორ და სად? შემდეგ კი შეიძლება განსაზღვრო მხოლოდ ის ტრანსგენები, რომლებიც ცნობილია. ხოლო თუ ის უცნობია? აი, ეს არის სწორედ ის, რაც მხედველობაში ჰქონდა ერმაკოვს, როდესაც ბიოლოგიურ იარაღზე საუბრობდა. იმიტომ, რომ შეიძლება მოახდინო ვირუსის ან ავადმყოფობის წარმომქმნელი ბაქტერიის მოდიფიცირება, შექმნა კონსტრუქცია ან მოახდინო რისაც გინდა ტრანსფორმირება ამ კონსტრუქციის დახმარებით.

— ესე იგი ადამიანი დაუცველია?

— სანამ ქვეყანაში ნებადართული არაა გენურ-მოდიფიცირებული მცენარეების მოყვანა, რისკი ძალიან დიდი არაა. მაგრამ თქვენ მართალი ხართ, ადამიანს თავისი თავის უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ შეუძლია, ამას სახელმწიფო უნდა აკეთებდეს.

— კეთილი, ერთ კაცს არ შეუძლია. მთლიანად საზოგადოებას?

— საზოგადოებას შეუძლია, აიძულოს მთავრობა გამოაცხადოს მორატორიუმი გენურ-მოდიფიცირებული პროდუქციის მოწევასა და მოხმარებაზე. საჭიროა, დაუყოვნებლივ შევუერთდეთ კარტახენის ოქმს, რომელიც აწესრიგებს გენურ-მოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსსასაზღვრო გადაადგილებას. ჩვენ დღემდე მას არ შევერთებივართ, თუმცა, ამაზე საუბარი ძალიან დიდი ხანია, მიმდინარეობს. უნდა შეიცვალოს სათანადო კანონმდებლობა, რომ ის შეესაბამებოდეს ევროკავშირის ანალოგიურს. იქ მკაფიოდ არის ჩაწერილი, რა, სად, როდის და რა იქნება, თანაც არ შემიძლია, ვთქვა, რომ ყველა გენურ-მოდიფიცირებული ორგანიზმი ტოტალურად სახიფათოა. მაგრამ მწარმოებელმა, სანამ მათ ბაზარზე გაუშვებს, უნდა დაადასტუროს, რომ ისინი უსაფრთხოა. არც თქვენ, არც მე, არც დეიდა მაშა ქუჩიდან არ ვართ ვალდებული გავარკვიოთ ეს. ეს მწარმოებლის ვალდებულებაა. იგი კი არათუ არ აკეთებს ამას, არამედ ცდილობს დააბნიოს საზოგადოებრიობა და ყოველმხრივ უწევს წინააღმდეგობას იმას, ვინც ამის გაკეთებას ცდილობს.

საუბარს უძღვებოდა
ალექსანდრ კალინინი

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

რეგიონ ეზაკლდეგიდა 2008 წლის აგვისტოს ომი

რუსეთი აუჩქარებლად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიყვებოდა თავის გეგმას: 4 მარტს სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა თხოვნით მიმართა რუსეთს, ეცნო მისი დამოუკიდებლობა. სამი დღის შემდეგ იგივე გააკეთა აფხაზეთის პარლამენტმაც. 6 მარტს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთი „გარემოებათა შეცვლის გამო" აღარ თვლის თავს ვალდებულად დაიცვას დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება აფხაზეთთან სავაჭრო-ეკონომიკური, ფინანსური, სატრანსპორტო და სხვა კავშირების აკრძალვის შესახებ. **13 მარტს რუსეთის დუმამ დახურულ სხდომაზე განიხილა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნა. 21 მარტს დუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ თხოვნისთვის მსვლელობის მიცემას ითვალისწინებდა. 14 აპრილს „ნეზავისიმაია გაზეტამ" გამოაქვეყნა მარინა პერევოზჩინას სტატია სათაურით: „მოსკოვი ნატოს აფხაზეთით უპასუხებს", რომელშიც ავტორს მოჰყავს რუსი დიპლომატის სიტყვები: „მოსკოვმა ორ შემთხვევაში უნდა ცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა: თუკი საქართველო მართლა შეეცდება ნატოში გაწევრიანებას და — ომის შემთხვევაშიო".**

2008 წლის მაისში რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა იური ბალუევსკიმ ნატო-რუსეთის თანამშრომლობის ფარგლებში მოსკოვში გამართულ მორიგ კონსულტაციებზე ჩასულ ნატოელ კოლეგებს სალდაფონური პირდაპირობით უთხრა — ამ ზაფხულს საქართველოში შეიძლება ომი ატყდეს, ამიტომ გირჩევთ იქ დაგეგმილი ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნები გადადოთო. ნატოს წარმომადგენლებმა მაშინ ეს ჩვეულებრივ რუსულ ავყიობას და საქართველოს დაშანტაჟების მორიგ მცდელობას მიაწერეს, თუმცა, შემდგომმა მოვლენებმა ცხადყვეს, რომ რუსი გენერალი არ ხუმრობდა.

აგვისტოს ომის შემდეგ იგივე ბალუევსკიმ აღიარა, რომ ჯერ კიდევ 2005 წლის ბოლოს თუ 2006 წლის დასაწყისში რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბში შემუშავდა საქართველოსთან ომის გეგმა, რომლის თანაავტორი იყო ვლადიმერ პუტინი. ეს უკანასკნელი არა მხოლოდ მოხსენების მოსმენით და კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა, არამედ სახავდა ამოცანებს, უღრმავდებოდა დეტალებს და ა. შ. გეგმა ჯერ პუტინმა, შემდეგ კი ხელმეორედ მედვედევმაც დაამტკიცა.

მართალია, საქართველოსთან ომის ამ გეგმას ბალუევსკი „აგრესიის მოგერიების სისტემას" და საქართველოს აგრესიაზე „ადეკვატურ ზომებს" უწოდებს, მაგრამ იქვე საუბრობს მისი პრაქტიკული რეალიზაციის კონკრეტულ ვადებზე — 2008 წლის ივლისსექტემბერზე. ვადის განსაზღვრაში გადამწყვეტ როლს პეკინის ოლიმპიადა ასრულებდა. რა გამოდის? ან რუსეთის გენშტაბს სამი წლით ადრე სცოდნია საქართველოს მხრივ აგრესიის განხორციელების ზუსტი თარიღი, რაც სრული ნონსენსია, ან რუსეთმა თვითონვე დაგეგმა აგრესია საქართველოს მიმართ მისთვის ხელსაყრელ დროს, რომლის აუცილებელ ელემენტს საქართველოს მხრივ აგრესიის ფარსის გათამაშება წარმოადგენდა.

მოგვიანებით ასეთი გეგმის არსებობის შესახებ ღიად ისაუბრეს პუტინმა და მედვედევმაც.

2008 წლის ივნისის შუა რიცხვებში დამოუკიდებელმა რუსმა სამხედრო ექსპერტმა პაველ ფელგენგაუერმა განაცხადა, რომ კრემლმა და გენშტაბმა მიიღეს გადაწყვეტილება განხორციელებინათ სამხედრო ოპერაციები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ფელგენგაუერის აზრით, ეს მოხდებოდა არაუგვიანეს აგვისტოს მეორე ნახევრისა, ამ რეგიონებში კავკასიის ქედზე სეზონური კლიმატური ცვლილებების გათვალისწინებით.

2008 წლის ივლისში იალტაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე ერთმანეთს რონალდ ასმუსი და გერმანელი ევროპარლამენტარი ელმარ ბროკი შეხვდნენ. ამ უკანასკნელმა ასმუსს ასეთი რამ უთხრა: ამაწინათ ევროკავშირში რუსეთის ელჩს ვლადიმერ ჩიჟოვს შევხვდი და ვუთხარი, რომ სექტემბერში საქართველოში ჩასვლას ვგეგმავდი. რუსმა დიპლომატმა ჩაიღიმა და მითხრა: ეგებ უფრო ადრე ჩასულიყავით, ვაითუ სექტემბერი გვიან იყოსო.

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, არა თავდაცვითი, არამედ შეტევითი ომისთვის ემზადებოდა ქართული მხარეც.

საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსულ პოლიტიკურად უმწიფარ ახალგაზრდებში ძალზე ძლიერი იყო სასურველის სინამდვილედ გასაღების განწყობა. აჭარაში მიღწეული წარმატების შემდეგ. სააკაშვილს და მის გარემოცვას გაუჩნდათ ილუზია, რომ ასეთივე გზით შეძლებდნენ ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის დაბრუნებასაც. საქართველოს ხელისუფლებაში ფიქრობდნენ, რომ რუსეთი იმდენად დასუსტებული და დაუძლურებულია, მას საქართველოს ენერგიულ ქმედებებზე ადეკვატური პასუხის თავიც კი აღარ აქვს. ამ განწყობას ნათლად ასახავს ვანო მერაბიშვილის ინტერვიუ, რომელიც მან 2006 წლის 29 სექტემბერს მისცა „რუსთავი-2"-ის ჟურნალისტს: **„არასოდეს ყოფილა რუსეთი ისეთი დაუცველი და სუსტი, როგორიც დღეს არის. ახლა ის არის ძალიან დაბნეული, არაადეკვატურ, სპონტანურ ნაბიჯებს დგამს ... ისინი იმდენად დაბნეულები არიან, რომ დიპლომატების ოჯახის 100-მდე წევრის გასაყვანად 800 კაცზე გათვლილი თვითმფრინავები შეუკვეთეს ... დღეს მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ რუსეთი არის ჩვეულებრივი უსუსური ქვეყანა და მითი მისი დაზვერვის სამსახურების ყოვლისშემძლეობის შესახებ ჩაბარდა ისტორიას. რა თქმა უნდა, რუსეთისთვის განსაკუთრებით მტკივნეული არის ის, რომ ასეთი დარტყმა მას მიაყენა საქართველომ (საუბარია რუსეთის 4 ჯაშუშის დაკავებაზე უ. ბ.) ამიტომ მაინც ველი, რომ რუსეთი ვერავითარ სერიოზულ პროვოკაციაზე ვერ წამოვა და თუ ასეთ ნაბიჯს გადადგამს, პირველ ყოვლისა, რუსული მხარე დაზარალდება."**

სასურველის სინამდვილედ გასაღების განწყობას საქართველოში ჭეშმარიტად ეროვნული უბედურების მასშტაბები შესძინა საკაშვილის პიროვნულმა თვისებებმა — სულსწრაფობამ, პოპულიზმმა, მეტად სერიოზული გადაწყვეტილებების დაუფიქრებლად და მეგობართა ვიწრო წრეში ან, სულაც, ერთპიროვნულად მიღებამ და ა. შ. საქართველოს პრეზიდენტი სერიოზულად ფიქრობდა, რომ ბოსნიაში ომის დროს ზაგრების მიერ განხორციელებული წარმატებული ოპერაცია „გრიგალი", რომლის შედეგადაც ხორვატიამ დაკარგული მიწები დაიბრუნა, ნატომ კი, დაინახა, რომ ახალი რეალობა კონფლიქტის დარეგულირებას უწყობდა ხელს და ეს არ გააპროტესტა, საქართველოსთვის მისაბაძი მაგალითი უნდა ყოფილიყო. **„მსოფლიოს ფაქტის წინაშე დაყენება" სააკაშვილის წარმოსახვით „დამბლადაცემული რუსეთის" ფონზე, მისთვის იდეა-ფიქსად იქცა.**

სწორედ სააკაშვილის ამგვარი განწყობის და, არა მხოლოდ პოპულიზმის, შედეგი იყო მისი განცხადებები იმის შესახებ, რომ მომავალი არჩევნების დროს საარჩევნო ყუთები ცხინვალშიც დაიდგმებოდა (2004 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, სოფ. თამარაშენი); „სამხრეთ ოსეთში ვითარება აჭარის მსგავსად წარიმართება და ამას თავად ხალხი უმოკლეს პერიოდში გააკეთებს" (2004 წლის ივნისის ბოლო, სტამბოლი); და სხვ. სწორედ ამგვარ განწყობას მოჰყვა იმავე წლის 17-19 აგვისტოს ავანტიურა — ცხინვალის რეგიონში ქართული სამხედრო შენაერთების შეჭრა, ქალაქის გარშემო მაღლობების დაკავება და ცხინვალზე იერიშის სამზადისი. მაშინ სააკაშვილს ეყო გონიერება გაეცნობიერებინა, რომ რუსეთი მზად იყო კონფლიქტში ჩასართველად. ამიტომაც უპირობოდ გამოიყვანა კონფლიქტის ზონიდან სამხედრო შენაერთები, რითაც ქვეყანა კატასტროფას გადაურჩა.

საქართველოს ხელისუფლებას არც მომდევნო 2005-2006 და 2007 წლებში აუღია ხელი ოკუპირებული ტერიტორიების სამხედრო გზით დაბრუნების თავის გეგმებზე. რონალდ ასმუსი იხსენებს ოქრუაშვილთან დასავლელი ექსპერტების საუბრებს, რომელთაც თავადაც ესწრებოდა. ოქრუაშვილი მაშინ ღია ტექსტით ეუბნებოდა მათ, რომ დასავლეთს ხელს აძლევს სტატუს-კვო სამხრეთ ოსეთში, საქართველოს მთავრობას კი არა და თუ დასავლეთი არ დეხმარება საქართველოს ამ რეგიონზე კონტროლის აღდგენაში, მაშინ გაგებით უნდა მოეკიდოს იმას, რომ თბილისმა საკუთარი ძალებით გადაჭრას ეს პრობლემა. 2008 წლის სექტემბერში კი, აგვისტოს ომიდან ერთი თვის შემდეგ, ოქრუაშვილმა „როიტერთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ „ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტი აფხაზეთი იყო, მაგრამ 2005 წელს შევიმუშავეთ როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის დაბრუნების სამხედრო გეგმები. თავდაპირველი გეგმა ითვალისწინებდა სამხრეთ ოსეთში შეჭრის ორმაგ გეგმას, როკის გვირაბსა და ჯავაზე კონტროლის დამყარებას". 2007 წლის გაზაფხულზე გიგა ბოკერია დაჟინებით ითხოვდა ცხინვალში ჯარების შეყვანას. ის დარწმუნებული იყო, რომ რუსები ამ კონფლიქტში არ ჩაერეოდნენ. ამ ფაქტს რომ იხსენებს, ბიძინა ივანიშვილი ვანო მერაბიშვილისადმი თავის საჯარო მიმართვაში (2011 წლის ოქტომბერი) წერს: „მე მაშინ შევძელი ბოკერია დამერწმუნებინა, რომ არ შეიძლებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა... ორმოც წუთში ბოკერიას დავუმტკიცე, რომ რის გაკეთებასაც ის გეგმავდა, წმინდა წყლის ავანტიურა იყო."

2006 წლის 17 ივლისს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო დადგენილება საქართველოს კონფლიქტის ზონებში მყოფი რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანის თაობაზე. „რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ქმედებები აფხაზეთსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ბარიერს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის." — ნათქვამი იყო პარლამენტის დადგენილებაში.

2007 წლის 19 ივნისს ბაქოში გამართული სუამის ლიდერთა სამიტის შემდეგ სააკაშვილმა განაცხადა, რომ კოკოითის „დრო იწურება" და უახლოეს თვეებში თბილისი დაიწყებდა მოლაპარაკებებს სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან დიმიტრი სანაკოევთან საქართველოს შემადგენლობაში რეგიონის სტატუსის განსაზღვრის მიზნით. მისი თქმით, საქართველოს იურისდიქციაში რეგიონის დაბრუნება „არის რამდენიმე თვის საკითხი. საქართველოს ყველა რესურსი გააჩნია იმისთვის, რომ ეს საკითხი მშვიდობიანად, მაგრამ დროულად და ჩქარა მოაგვაროს."

2007 წლის 28 ნოემბერს თბილისის მერიის შენობაში სააკაშვილი აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას შეხვდა. **„თუ 5 იანვარის არჩევნები ნორმალურად ჩაივლის, შემდეგ ზამთარს უფრო თბილი კლიმატის პირობებში გავატარებთ: ჩვენ სახლებში დავბრუნდებით. მე ამას გპირდებით და ამის გარანტიას გპირდებით. არასოდეს აქამდე ასე კონკრეტული არაფერი მითქვამს. მინდა დაგპირდეთ, რომ უახლოეს მომავალში — მე ამის გაკეთებას ჩემი პრეზიდენტობის პირველ ვადაში ვაპირებდი, მაგრამ კარგად ცნობილი მიზეზების გამო, ჩემი ვადა შევამცირე — უახლოეს მომავალში ვგულისხმობ უახლოეს თვეებს, არ ვამბობ უახლოეს წლებს, ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად შევქმნით პირობებს თქვენი ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისთვის აფხაზეთში,"** — განაცხადა მან შეხვედრაზე.

იმავე წლის 4 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების წინაშე გამოსვლისას სააკაშვილმა განაცხადა: **„ცხინვალის რეჟიმი არის მოყანყალებული, როგორც ამოსაღები კბილი და მე დარწმუნებული ვარ, რომ 5 იანვრის არჩევნების კარგად ჩატარების შემთხვევაში, ეს არის მართლა კვირეები და არა თვეების საკითხი. ამაში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული, ამაზე ზუსტი ინფორმაცია მაქვს... ამრიგად, საუბარია ძალიან მოკლე პერიოდზე. რუსებსაც წამოსცდათ რამდენჯერმე, რომ სამხრეთ ოსეთი აღარ აინტერესებთ. ეს მათ წამოსცდათ".**

ცხადია, საქართველოს უმაღლესი პირების ასეთი რევანშისტული განცხადებები ავიწროებდნენ დიალოგის წარმოების ჩარჩოებს, სპობდნენ ნდობის აღდგენისა და შერიგების შესაძლებლობებს. მოსკოვი ყურადღებით აკვირდებოდა სააკაშვილის განცხადებებს. „საქართველომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხების მოგვარების სამხედრო გზა აირჩია. ეს დანარჩენი პროვოკაციების წყაროა... საქართველოს ხელმძღვანელობის ქმედებებში ჩანს აშკარა ლოგიკა: პირველ რიგში, გააგდონ რუსი სამშვიდობოები, შემდეგ მოაგვარონ გაყინული კონფლიქტები აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში სამხედრო გზით და ოფიციალურად მიმართონ ალიანსს წევრობისთვის", — აცხადებდა რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი. **საქართველოს ხელისუფლების რევანშისტულ განწყობაზე ნათლად მეტყველებდა ქვეყნის თავდაცვის ხარჯების სწრაფი ზრდაც. 2007 წლისთვის ამ ხარჯებმა მილიარდ 300 მილიონს მიაღწია. ეს ქვეყნის ბიუჯეტის მეოთხედი იყო. რუსი სამხედრო ექსპერტები ამის შესახებ ბევრს წერდნენ. თავის ოფიციალურ განცხადებებში ამაზე მიუთითებდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვიც: „ის, რომ გარკვეული წრეები თბილისში ომისთვის ემზადებიან, ეჭვსაც არ იწვევს იმ შეიარაღების ოდენობის გათვალისწინებით, რომელსაც საქართველო ფარულად თუ ღიად ყიდულობს",** — აღნიშნავდა ის.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის მიმართ ინტერესის დაკარგვაზე რუსების „წამოცდენებს": რუსეთის უშიშროების სამსახურზე სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ამგვარი წარმოდგენები მხოლოდ მათ პოლიტიკურ უმწიფრობაზე და გულუბრყვილობაზე მეტყველებს. ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორია რუსეთისთვის, სტრატეგიული თვალსაზრისით, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აფხაზეთი. ეს ტერიტორია ხომ საქართველოს გულში გაყრილი ხანჯალივითაა - აქედან ქვეყნის დედაქალაქამდე სულ რაღაც ორმოციოდე კილომეტრია და მხოლოდ ხუთიოდე კილომეტრი ქვეყნის მთავარ მაგისტრალამდე! მაშასადამე, ვიდრე ამ ტერიტორიაზე მტრის ტანკები დგანან, მანამდე ქვეყნის უსაფრთხოებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

მაშ, რატომ დაკარგავდა მის მიმართ ინტერესს რუსეთი? „წამოცდენები" კი მოსკოვის მიერ სააკაშვილის ხაფანგში გასაბმელად წამოწყებული მრავალსვლიანი და კარგად დაგეგმილი თამაშის ნაწილი იყო, რომელიც ზუსტად ხვდებოდა მიზანში.

უჩა გლუაშვილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 143-144

◎ ფეხბურთი

ვინ გვარცხვენს...

რამდენჯერ გვსმენია, სანანებლად საკუთარი ცოდვებიც გვეყოფაო. მე თუ მკითხავთ, უპირველესად, საკითხავი ის უფროა, ვის როგორ ესმის ეს „კლიაოზნი“ თემა.

მაგალითად, სამშობლოს სვე-ბედის შესამსუბუქებლად არაერთი სადავო ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ქართველთა უდიდესმა მეფემ დავით აღმაშენებელმა შთამმავლობას განსასჯელად „გალობანი სინანულისანი“ დაუტოვა. ვინ ავალდებულებდაო, ალბათ, ჩაიქირქილებს მავანი. არც არავინ – ვპასუხობ მავანს, მხოლოდ შინაგანი მრწამსი და მამულის ცალკეულ უკეთურობათათვის მოსაწმენდი ნამუსი.

და აი, მივადექით იმ ორმოს, სადაც ძაღლის თავია დამარხული: ვისაც ნამუსი არ აწუხებს?

ასეთი შესავალი თბილისის „დინამოს“ ყაზახურმა ფიასკომ მიკარნახა. თუ ვინმე მეტისმეტად მკაცრ შეფასებას დამიწუნებს, ეს მისი ნებაა, თუმცა ამთავითვე ვაფრთხილებ, რომ მისი მხრიდან პოლემიკაში ჩაბმის შემთხვევაში „აქტობესთან“ 0:3-ს გაცილებით სუსხიანი სტრიქონები მოჰყვება.

გიორგი ზოთაძე

◎ თანამშრომლობა

„რადისონ ბლუ-საქართველო“ საქართველოს რაგბის კავშირის მხარდამჭერი გახდა

გუშინ „რადისონ ბლუმ“ (საქართველო) და საქართველოს რაგბის კავშირმა პარტნიორობის მემორანდუმი გააფორმეს. მხარეთა განცხადებით, ეს არის გრძელვადიანი და ნაყოფიერი თანამშრომლობის დასაწყისი, რომლის ფარგლებშიც არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდება.

„ჩვენ ვიყენებთ ნებისმიერ შანსს, შევიტანოთ წვლილი იმ ქვეყნის საზოგადოების განვითარებაში, სადაც სასტუმროებს ვამუშავებთ. რაგბი საქართველოში სპორტის ყველაზე წარმატებული სახეობაა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ქვეყნის ლიდერი სასტუმროების ქსელის სახელი ყველაზე წარმატებულ სახეობასთან დაგვეკავშირებინა“, – განაცხადა „რადისონ ბლუ ივერიის“ აღმასრულებელმა მენეჯერმა ბერნარდ თომასმა.

„მინდა მადლობა გადავუხადო „რადისონ ბლუს“. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ ცნობილ და წარმატებულ ბრენდთან ურთიერთობას. იმედი მაქვს, ეს თანამშრომლობა გაღრმავდება და მომავალში უფრო ბევრ ასპექტს მოიცავს. ეს კარგი მაგალითი და მოტივაციაა სხვა კომპანიებისათვის და ვიმედოვნებ, რომ კერძო სექტორი უფრო აქტიურად ჩაერთვება ქართული რაგბის მხარდაჭერაში“, – დასძინა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ.

ბეჟან დოლიძე

◎ წყალბურთი

ბოლო აკორდი - ისევ რუსებთან

ბუდაპეშტში მიმდინარე წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთი მატჩი გამართა, ამჯერად ბ ჯგუფის მეხუთეადგილოსან საფრანგეთთან.

საქართველო-საფრანგეთი 6:10 (2:2, 1:3, 2:3, 1:2)

საქართველო. ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქავთარაძე (1), დამირ ცრეპულია (1), მარკო ელეზი (1), ალექსანდრე რუსიშვილი, მარკო ელაჩა (1), გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბაღათურია (1), ზურაბ რურუა (1), კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, მარინო ფრანიჩევიჩი, ბექა კაპანაძე, **მწვრთნელები** – იოვან პოპოვიჩი, ვლადიმერ ისელიძე.

საფრანგეთი. რემი გარსაუ, რემი საუდადიე (2), არნო იაბლონსკი, ენცო ხასი, რომან ბლერი (1), ტიბო შიმონი (1), მატიე პეისონი, მანუელ ლავერსა, მეჰდი მარზუკი, მიშელ ბოდეგასი (4), პეტარ ტომაშევიჩი, ალექსანდრ კამარასა (2), ჯონათან მორიამი. **მწვრთნელები** – ფლორიან ბრუზო, მაქსიმ აფანასენკო.

ქართულ-ფრანგული დაპირისპირების პირველი პერიოდი ორმხრივი იერიშებით წარიმართა. ანგარიში მე-5 წუთზე მიხეილ ბაღათურიამ გახსნა. ფრანგთა კაპიტანმა მიშელ ბოდეგასმა მალევე აღადგინა წონასწორობა. პირველი რვაწუთიანი მონაკვეთი ფრედ 2:2 დამთავრდა. მეორე პერიოდში სამფეროვნებმა მატჩში გარდატეხა შეიტანეს. მათმა კაპიტანმა ბოდეგასმა ორი ბურთი გაიტანა ბექა კაპანაძის კარში. პერიოდი ფრანგებმა 2 ბურთის სხვაობით მოიგეს.

შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრები გააქტიურდა, თუმცა თამაშის შემობრუნება ვერ შეძლო და 6:10 დამარცხდა. ჩვენებმა ზედიზედ მეექვსე შეხვედრა დათმეს და დღეს 19.30 საათზე მეთერთმეტე-მეთორმეტე ადგილებისთვის ისევ რუსებს დაუპირისპირდებიან, რადგან ჩრდილოელ მეზობლებს გერმანელებმა აჯობეს და რევანშის შანსი მოგვცეს.

აქვე გაუწყებთ პლეი ოფის დანარჩენი შეხვედრების შედეგებს:

რუსეთი-გერმანია 8:9 (1:1, 4:2, 1:3, 2:3),
იტალია-ხორვატეთი 8:7 (1:1, 3:2, 2:2, 2:2),
საბერძნეთი-სერბეთი 9:13 (2:3, 3:4, 2:4, 2:2).

ლექსო ცინცაძე

◎ კალათბურთი

„ბარსელონას“ ხუთეულში შერმადინიც მოხვდა

მას შემდეგ, რაც ამერიკელი ცენტრი ჯოელ დორსი ნბა-ს წევრ „ჰიუსტონ როკეტსში“ გადავიდა, კატალონიური „ბარსელონა“ მისი შემცვლელის ძიებაშია, რომელიც აღნიშნულ პოზიციაზე ხორვატ ანტე ტომიჩს შეეშველება.

ესპანურმა Sport.es-მა იმ ხუთეულის ვინაობა გაახმაურა, რომელთა შორისაც, სავარაუდოდ, „ბარსელონა“ არჩევანს გააკეთებს. ესენი მექსიკელი გუსტავო აიონი, ბრაზილიელი ლუკას ნოგეირა, ამერიკელი ლამონტ ჰამილტონი, გერმანელი ტიბორ პლეისი და ქართველი გიორგი შერმადინი არიან.

კატალონიური გაზეთის ცნობით, აღნიშნული კალათბურთელები „ბარსას“ ყურადღებას იმით იპყრობენ, რომ თავისუფალი აგენტები არიან. როგორც ირკვევა, შერმადინის ფასი 450 ათასი ევროა, ნოგეირა 600 ათასად ფასდება, ხოლო ყველაზე ძვირადღირებული (800 ათასი) პლეისი გახლავთ, რომელზე უფლებებიც „ოკლაჰომა სითი თანდერს“ გააჩნია.

ამასობაში ცნობილი გახდა, რომ „სარაგოსაში“ აღარ ითამაშებს ვიქტორ სანიკიძე. Heraldo.es-ის ცნობით, ქართველი ფორვარდის გარდა არაგონულ კლუბს მაიკლ როლი, ჯოზეფ ჯონსი და ჯონათან ტაბუც დატოვებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

რონალდინიო თავისმა ცოლმა დაიცვა

ცოტა ხნის წინათ ლეგენდარული ბრაზილიელი ბურთის მგორებლის რონალდინიოს ცოლი ჯანინა მენდესი ჟურნალისტებმა სან პაულუს ერთ-ერთ ბარში მეგობრებთან ერთად მჯდომი შემოხვევით ნახეს და, რა თქმა უნდა, მისთვის არც კითხვების კორიანტელი დაიშურეს.

ჟურნალისტებს ყველაზე მეტად აინტერესებდათ მიზეზი, რის გამოც უკანასკნელ პერიოდში რონალდინიო მედიასთან ურთიერთობაზე უარს ამბობს. ჯანინამ განაცხადა, რომ მისი ქმარი უბრალოდ გადაიღალა და ყელში ამოუვიდა მის შესახებ გავრცელებული ათასგვარი ჭორები.

რონალდინიოს ცოლმა უარყო ისიც, რომ რონალდინიო მუნდიალზე წაუსვლელობის გამო თითქოს ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციას გაუნაწყენდა. მით უმეტეს ის, რაც ივლისში ბრაზილიის ნაკრების თავს მოხდა, რონალდინიოს, ალბათ, ნამდვილად არ აღუძრავდა იქ ყოფნის სურვილს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ხელბურთი

ესტონეთით ვიწყებთ

2018 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ტურნირში საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრები მეტოქეობას ესტონეთისა და ლუქსემბურგის გუნდებს გაუწევს. B ჯგუფში საკვალიფიკაციო მატჩები შინ და გარეთ 2014 წლის ოქტომბერ-ნოემბერსა და 2015 წლის აპრილ-ივნისში გაიმართება.

2014 წელი

29 ან 30 ოქტომბერი. ესტონეთი-საქართველო,

1 ან 2 ნოემბერი. საქართველო – ესტონეთი.

2015 წელი

29 ან 30 აპრილი. საქართველო – ლუქსემბურგი.

2 ან 3 მაისი. ლუქსემბურგი – საქართველო,

10 ან 11 ივნისი. ლუქსემბურგი – ესტონეთი,

13 ან 14 ივნისი. ესტონეთი – ლუქსემბურგი.

პლეი ოფში გადიან A, B და C ჯგუფების გამარჯვებულები. ისინი 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის მთავარ შესარჩევ რაუნდში უარესი მაჩვენებლების მქონე სამ გუნდს დაუწყვილდებიან. პლეი ოფები 2016 წლის აპრილში გაიმართება.

გივი გაგუა

დიდი მეცნიერი და მასწავლებელი



გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნიკო ვახანია.**

ბატონმა ნიკომ, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მათემატიკის ერთ-ერთ ახალ მიმართულებას — ალბათობის თეორიას უსასრულოგანზომილებიან ვექტორულ სივრცეებში. მისმა ნაყოფიერმა სამეცნიერო მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აღნიშნული მიმართულების განვითარებაში, ხოლო მეცნიერის კლასიკური მონოგრაფიები, როგორც არაერთი უცხოელი კოლეგა აღნიშნავს, დღესაც მრავალი ციტირების და ახალი იდეების შთაგონების წყაროა. ბატონი ნიკო მრავალჯერ იყო მიწვეული მსოფლიოს ცნობილ სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში, სადაც უცხოელ კოლეგებთან ერთად ატარებდა ერთობლივ სამეცნიერო გამოკვლევებს და კითხულობდა ლექციების კურსს, რაც უდავოდ მიუთითებდა მისი ღვაწლის და ნიჭის საერთაშორისო აღიარებაზე.

ბატონი ნიკოს მიერ შექმნილმა სამეცნიერო სკოლამ მოკლე დროში მაღალი ავტორიტეტი მოიპოვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. უკვე ოთხ ათეულ წელიწადზე მეტია, რაც ის ვექტორულ სივრცეებში ალბათობის თეორიის ერთ-ერთ წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრად ითვლება.

აღნიშვნის ღირსია ბატონი ნიკოს მრავალმხრივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. ორმოცდაათი წლის განმავლობაში იგი ლექციებს უკითხავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს, მაგისტრებსა და დოქტორანტებს. მისი ხელმძღვანელობით მრავალი ახალგაზრდა დაეუფლა მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდებს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში, სადაც იგი 1961 წლიდან ხუთი ათეული წელი სათავეში ედგა ალბათობის თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის განყოფილებას. მისი ხელმძღვანელობით 12-მა ახალგაზრდამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მათ შორის სამი უკვე მეცნიერებათა დოქტორია. პირადად მას თავის მოწაფეებთან ერთად მიღებული აქვს არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი გრანტი.

ბატონი ნიკოს შემოქმედებითი აქტივობა არ შემოფარგლულა მხოლოდ სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით. მისი ორგანიზატორული ნიჭი მკაფიოდ და სრულად გამოვლინდა გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე მოღვაწეობის პერიოდში, რაც 27 წელი გრძელდებოდა, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 35 წელი ხელმძღვანელობდა შემთხვევით პროცესთა თეორიის კათედრას, წლების განმავლობაში ეკავა კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა.

აკადემიკოსი ნიკოლოზ ვახანია ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობაში, მრავალი წლის განმავლობაში იყო აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე და ბიუროს უცვლელი წევრი. ბატონი ნიკო მონაწილეობდა აგრეთვე მრავალი სამეცნიერო, საპრობლემო თუ ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოების მუშაობაში. აღსანიშნავია მისი საქმიანობა როგორც „ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ენციკლოპედიის“ (მოსკოვი), „ქართული ენციკლოპედიის“ (თბილისი), გამომცემლობა „ფიზიკის“ (მოსკოვი) სტოქასტიკის სერიის, ჟურნალ „ალბათობის თეორია და მისი გამოყენებები“ (მოსკოვი) და „საქართველოს მათემატიკური ჟურნალის“ სარედაქციო საბჭოების წევრისა. იგი იყო გამოთვლითი მათემატიკის საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის და საერთაშორისო ინოვაციის ფონდის წევრი.

ბატონი ნიკოს ამაგი მეცნიერების განვითარებაში სათანადოდ იყო აღიარებული და დაფასებული. დაჯილდოდა ღირსების ორდენით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის და ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პრემიები, ორჯერ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, აგრეთვე მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

წავიდა ჩვენგან გამოჩენილი მეცნიერი, კლასიკური შედეგების მქონე საერთაშორისო დონის მათემატიკოსი. ყველა, ვინც მას იცნობდა, დიდად აფასებდა ბატონი ნიკოს მაღალ პროფესიონალიზმს, პრინციპულობასა და ობიექტურობას, გამორჩეულ ადამიანურ თვისებებს, დახვეწილ ინტელიგენტურობას, ღირსების გრძნობას და კეთილგანწყობას კოლეგების მიმართ. მისი გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია როგორც ოჯახისთვის, ისე მისი მეგობრებისა და კოლეგებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შესანიშნავი მეცნიერისა და მოქალაქის, ძვირფასი კოლეგის, აკადემიკოს ნიკო ვახანიას გარდაცვალების გამო. მისი სახელი მარად დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია



ქვეყნის სამეცნიერო-პედაგოგიურმა საზოგადოებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა — შეწყდა ღირსეული მამულიშვილის, ქართული მათემატიკური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერთა დოქტორის, პროფესორ **ნიკო ვახანიას** სიცოცხლე.

წავიდა ჩვენგან უაღრესად კეთილშობილი, მაღალი ზნეობისა და მოქალაქეობრივი პრინციპების მქონე პიროვნება, რომლის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა, მაღალი პროფესიონალური ავტორიტეტი და საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარება ქვეყნისა და ხალხისათვის გაწეული დიდი ღვაწლის ჭეშმარიტი მაგალითია.

ნიკო ვახანია დაიბადა 1930 წლის 28 აგვისტოს. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები, რომელთა გვერდით ყოფნისას სტუდენტობის წლებშივე გამოვლინდა მისი განსაკუთრებული ნიჭიერება, რამაც შესაძლებლობა მისცა, წარმატებული ყოფილიყო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მისი პირველივე მეცნიერული ნაბიჯები.

ნიკო ვახანიამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მათემატიკის ერთ-ერთ ახალ მიმართულებას — ალბათობის თეორიას უსასრულო განზომილებიან ვექტორულ სივრცეებში. მან თავის გარშემო შემოიკრიბა ახალგაზრდობა და შექმნა სამეცნიერო სკოლა, რომელმაც მოკლე დროში მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი მოიპოვა. ოთხ ათეულ წელიწადზე მეტია, ეს სკოლა ვექტორულ სივრცეებში ალბათობის თეორიის ერთ-ერთ წამყვან სამეცნიერო ცენტრად ითვლება. ბატონი ნიკოს კლასიკურმა მონოგრაფიებმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მათემატიკის ამ ურთულესი მიმართულების განვითარებაზე, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბატონი ნიკო 1961 წლიდან ხუთი ათეული წლის მანძილზე სათავეში ედგა ალბათობის თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის განყოფილებას ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის კედლებში, სადაც მისი ხელმძღვანელობით მრავალი ახალგაზრდა დაეუფლა მეცნიერული კვლევა-ძიების უახლეს მეთოდებს. ბატონი ნიკოს ხელმძღვანელობით დაცულია 12 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

ნიკო ვახანია აქტიურად მონაწილეობდა მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესის, სიმპოზიუმისა და კონფერენციების მუშაობაში, სადაც უცხოელი კოლეგები ერთსულოვნად აღიარებდნენ მათემატიკის დარგში მისი ღვაწლისა და ნიჭის მასშტაბურობას. იგი ჭეშმარიტად საერთაშორისო დონის მეცნიერი გახლდათ.

ბატონი ნიკოს შემოქმედებითი აქტივობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით. იგი მათემატიკოსთა ფართო საზოგადოებაში სავსებით კანონიერად ითვლებოდა როგორც მეცნიერების ჭეშმარიტი ორგანიზატორი, რაც მკაფიოდ და სრულად გამოვლინდა გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე 27 წლის მანძილზე მოღვაწეობისას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონ ნიკოს ნაყოფიერი საქმიანობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევით პროცესთა თეორიის კათედრის გამგედ მუშაობისას, რაც სამ ათეულ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ამასთან ერთად წლების მანძილზე მას ეკავა თსუ-ს კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა და დაუღალავად იღვაწა ფაკულტეტის თანამედროვე, უნივერსალური ელექტრონული გამომთვლელი მანქანებით აღჭურვისათვის, აგრეთვე ახალგაზრდა, ნიჭიერი კადრებით სამეცნიერო ქვედანაყოფების შესავსებად.

„ის, ვინც სწავლის დაწყებამდე ჩვევად გაიხდის სისტემურ, მუყაით მეცადინეობას, სიბეჯითეს, გატაცებული იქნება სწავლით, მიაღწევს ნამდვილ წარმატებას“. ეს სიტყვები ეკუთვნის დიდ მეცნიერსა და მასწავლებელს ნიკო ვახანიას. მისი დამსახურება ეროვნული მეცნიერებისა და განათლების საქმეში ღირსეულად დაფასდა. იგი აირჩეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. აკადემიკოსი ნიკო ვახანია აქტიურად მონაწილეობდა მრავალი სამეცნიერო, საპრობლემო თუ ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში. იგი გახლდათ გამოთვლითი მათემატიკის საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტისა და საერთაშორისო ინოვაციის ფონდის წევრი. მას მინიჭებული ჰქონდა ანდრია რაზმაძისა და ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პრემიები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლები, აგრეთვე მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო „ღირსების ორდენით“.

მათემატიკური საზოგადოების ისტორია თავის ღირსეულ ადგილს მიაკუთვნებს აკადემიკოს ნიკო ვახანიას, როგორც საერთაშორისო დონის მეცნიერსა და დიდ პედაგოგს. მისი ღვაწლი ქვეყნის წინაშე ფასდაუდებელია, როგორც დაუღალავი შრომისა და საქმიანობის შედეგით, ისე მისი ეროვნული მნიშვნელობით. აკადემიკოს ნიკო ვახანიას ნათელი სახე, როგორც მეცნიერების რაინდისა და მოაზროვნისა, სამუდამოდ იცოცხლებს ქართული საზოგადოების მეხსიერებაში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი ნიკოს სული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი

დედა ლაურა, მამა შოთა გორგოძეები, და მანანა გორგოძე-კვაჭაძე, სიძეები დავით კვაჭაძე, ლევან სიხარულიძე, დისწულები დათო, თამრიკო კვაჭაძეები, დისშვილიშვილი ილიკო სიხარულიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გია გორგოძე

პანაშვიდი 25, 26 VII, გამოსვენება 27 VII, 14 საათზე. მისამართი ო. თაქთაქიშვილის (რიგის) ქ. №2.

ბიძები ვაჟა, ჯემალ გორგოძეები, ბიცოლები ნათელა, ნარგიზი, ბიძაშვილები გოჩა, თეა, ვალერი გორგოძეები ოჯახებით, მამიდა ნათელა ოჯახით, მამიდაშვილები მაია, მალხაზ ხვედელიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გია გორგოძე

პანაშვიდი 25, 26 VII, გამოსვენება 27 VII, 14 საათზე. მისამართი ო. თაქთაქიშვილის (რიგის) ქ. №2.

დეიდა ბელა (ლერი), ბიძა ვახტანგ ნინიძეები, დეიდაშვილები დავით, ნანა ნინიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გია გორგოძე

პანაშვიდი 25, 26 VII, გამოსვენება 27 VII, 14 საათზე. მისამართი ო. თაქთაქიშვილის (რიგის) ქ. №2.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს გაზეთის ძველ ავტორსა და მეგობარს, ბატონ შოთა გორგოძეს ვაჟიშვილის

გია გორგოძის

გარდაცვალების გამო.

მარინა, მანანა თევზაძეები, მარიკა ხუნდაძე, მერაბ ნაცვლიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს უმაღლესი სკოლის და განათლების დამსახურებული პედაგოგი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, სტუდენტების მრავალი თაობის აღმზრდელი

ვიქტორია სტეფანეს ასული ფორაქიშვილი-ბეკშანოვა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ დიდი ადამიანები გვასწავლიან

ალექსანდრე მაკედონელის ბოლო 3 სურვილი

გარდაცვალებამდე ალექსანდრე მაკედონელმა არმიის მთავარსარდალს ანდერძად 3 სურვილის შესრულება სთხოვა.

1. მსურს ჩემი სასვენებელი ხელით წაიღონ მთელი ქვეყნის ყველაზე სახელგანთქმულმა მკურნალებმა.

2. მინდა, გზაზე, სადაც ჩემს უსიცოცხლო გვამს გაატარებენ, უთვალავი ძვირფასი ქვა და ოქროს ზოდი მიმოფანტონ.

3. მსურს, სასვენებლიდან ჩემი ხელები მოჩანდეს.

გაკვირვებულმა მთავარსარდალმა მბრძანებელს სთხოვა აეხსნა, თუ რატომ ისურვა მან ამ სურვილების შესრულება. მაკედონელმა კი უპასუხა:

1. მსურს, საუკეთესო ექიმებმა წაიღონ ჩემი სასვენებელი, რადგან მთელმა ქვეყანამ დაინახოს, რომ სიკვდილის წინაშე ყველაზე კარგი ექიმებიც კი უძლურნი არიან.

2. მინდა, ჩემი სიმდიდრე ძირს მიმოფანტოთ, რათა ყველამ დაინახოს, რომ ყველაფერი, რასაც ამქვეყნად ვიძენთ, აქვე რჩება.

3. მსურს, მთელი ქვეყანა ხედავდეს ჩემს ხელებს, რადგან ყველამ გაიაზროს, რომ მთელი ქვეყნის მბრძანებელიც კი იმ ქვეყნად ცარიელი წავიდა.

პითაგორას 15 ცხოვრებისეული რჩევა

1. ბედნიერად ცხოვრების დიდი მეცნიერება ის არის, რომ იცხოვროთ აწმყოთი.

2. ხუმრობაც ზომაზე იხმარეთ, როგორც მარილი.

3. ეცადეთ, მზის ამოსვლას დაესწროთ, იმიტომ რომ არ იცით, დაესწრებით თუ არა მის ჩასვლას.

4. ნუ დაგვპირდებით, ისე გააკეთეთ დიადი.

5. ქარქაშიდან ხშირად ამოღებული ხმალი მალე დაჩლუნგდება.

6. იცხოვრეთ ხალხში ისე, რომ მეგობრები არ ჩამოგშორდნენ და მტრები დაიმეგობროთ.

7. კეთილგონიერო მანდილოსანო! თუ გსურთ, რომ ქმარმა მთელი დრო თქვენთან გაატაროს, იზრუნეთ, რომ სხვაგან ვერსად ნახოს მეტი სინაზე და სიამე.



8. დაზოგეთ თქვენი შვილების ცრემლი, რათა თქვენს სამარეზე დაღვარონ.

9. რაც არ უნდა თქვან და იფიქრონ თქვენზე, აკეთეთ საქმე, რასაც თვითონ სამართლიანად თვლით. იყავით ერთგვარად გულგრილი ქებისა და ძაგების მიმართ.

10. დუმილს ნუ დაარღვევთ, ან ისეთი რამ თქვით, დუმილს რომ სჯობდეს.

11. ნუ იტყვით ცოტას ბევრი სიტყვის გამოყენებით, ეცადეთ, ცოტა ისაუბროთ და ბევრი თქვათ.

12. ნურას ჩაიდენთ საძრახისსა და სამარცხვინოს, ნურც აშკარად და ნურც ფარულად. ეს უპირველესი კანონია საკუთარი თავის პატივისცემისა.

13. ყველაზე პატარა სიტყვებს „კი“-სა და „არა“-ს ყველაზე მეტი დაფიქრება სჭირდებათ.

14. სულის სიძლიერე არჩიეთ სხეულის ძლიერებას.

15. დასაძინებლად თვალს ნუ დახუჭავთ, ვიდრე არ განსჯით, რა გააკეთეთ და ვის რა არგეთ ამ დღეს.

მოამზადა
ნათია ცუხიშვილმა

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— მეჩვენება, რომ შემიძლია თქვენი გული გადაშლილი წიგნივით ვიკითხო.

— იკითხეთ, რამდენიც გენებოთ, ოღონდ გარეკანს არ შეეხოთ.

* * *

— აბა, მიხო, რა შეგიძლიათ გვითხრათ ანტიკური ხანის დიდ მეცნიერებზე?

— ისინი ყველანი დიდი ხნის მკვდრები არიან.

* * *

— გაიგე, რომ პეტკა ნატაშაზე დაქორწინებულა?

— როგორ ცხოვრობენ?

— მტრედებივით. ხან ერთი მიფრინავს ფანჯრიდან, ხანაც — მეორე.

* * *

დავპირდი, რომ ბოლო სურვილს შევუსრულებდი.

იეშმაკა — არ მესროლოო, მთხოვა.

იძულებული გავხდი, ცოცხლად დამემარხა.

* * *

— ეს ღვინო იმას შეხვდება, ვინც ყველაზე საშინლად დაიჭყანება, — ამბობს საქორწინო სუფრის თამადა. აბა, დავიწყეთ!.. ერთი, ორი, სამი! სდექ! გაიმარჯვა პატარძალმა.

— მაგრამ მე არ მითამაშნია...

— დაბნეულია პატარძალი.

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ „სალხინოს“ მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- **გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.**
- **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

◎ წკეპლიკა

ჟურნალისტებო, ისწავლეთ მოსმენა!!!

მოსმენა დიდი ნიჭია. უნდა შეგვეძლოს ერთმანეთის მოსმენა. „ადამიანთა ყოფიერება დასაბამს იღებს ენიდან, რაც განხორციელდება საუბარში“, — აღნიშნავდა ჰაიდეგერი. სამწუხაროდ, რესპონდენტებთან თქვენი საუბრები სხვა არაფერია, თუ არა არაპროფესიონალიზმის, „დაკითხვის“, ბოლომდე არმოსმენის პროცესი, ჟესტიკულაციების გაუგებარი კასკადი. გონს მოეგეთ, ჟურნალისტებო!!!

ლონდა მდივანი.

P. S. თურმე ბატონ ბიძინა ივანიშვილს არ სცოდნია რა არის დემოკრატია. თქვენ კი იცით, ქალბატონო ჟურნალისტო? მაშ, რა არის დემოკრატია?

ლ. მ.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24